

# საქართველოს პარტიული პარტიული

La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
AVRIL  
1937 — № 134

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—დაშნაკუტური და კავკასია.  
რ. ინტილი—საიმპერიო სვლანი.  
ილია ნუცუბიძე—კავკასია და რუს. იმპერიალ.  
დარბაისელი—ნავსი გატყდა.  
ს. შავიშვილი—საქართველოს მეგობრები.  
რას სწერენ სომხური გაზეთები.

პოლონური პრესა.  
ალ—ნი—იოსებ დადიანი.  
ექ. თაყაიშვილი—წერილი რედაქციის მიმართ.  
ერთა ლიგა და დაჩაგრული ერები.  
საქართველოს ამბები.  
სამგლოვიარო ფურცელი.

## დაშნაკუტური და კავკასია

ჩვენი გაზეთის მარტის ნუმერში მკითხველი გაცნა, იმედია, ფრიად საგულისხმიერო ამონაწერებს სომხურ გაზეთებიდან. იქ ლაპარაკია ბევრ რამეზე: სომეხ-ქართველთა დამოკიდებულებაზე, კავკასიის ერთობაზე, სახელმწიფოებრივ ორიენტაციაზე და სხ.

საჭიროა აქვე გამოვსთქვათ ჩვენი დიდი მწუხარება, რომ, ენის უტოლინარობის გამო, მოკლებული ვართ შესაძლებლობას სისტემატურად და უშუალოდ ვადვენოთ თვალყური ჩვენი ისტორიულ მეზობლების, შედარებით, მრავალ-შტოიან პრესას, რომელიც ქვეყნიერების ყველა ნაწილში გამოდის. სომხის ემიგრაცია, როგორც ვიცით, ათი და ასი ათასობითაა გაბნეული ყველგან, განსაკუთრებით თურქეთიდან გახიზნულნი, და რა გასაკვირველია, რომ მას პრესაც დიდი ჰქონდეს.

ამის და მიხედვით ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ ჩვენი ამონაწერები სომხის პრესიდან არ შეიძლება იყოს სრული და ამომწურველი, შეიძლება აქა იქ ზოგი რამ თუ გინდ მნიშვნელოვანი კიდევ გამოგვჩა, არ მოგვიტანია.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ მაინც შეიძლება გადაჭრით ითქვას: სომხურ პერიოდულ პრესაში კავკასიელ სომეხთა ხმა სჭარბობს და აქაც დაშნაკუტურის პარტიას პირველობა უჭირავს. ასე იყო კავკასიაში და ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ასევეა უცხოეთშიც.

მაშასადამე, ჩვენ არა გვაქვს უფლება და არც საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ აბუხად ავიგდოთ ეს პარტია და მისი ხელმძღვანელები, ან კიდევ მათ ზურგს უკან ვვიძიოთ სომხის ერთან საერთო ენა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფაქტიურად ეს პარტიაა, რომელიც იბრძოდა და იბრძვის სომხეთის დამოუკიდებლობისათვის; მას შეიძლება ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ მთავარში ხომ ერთნი ვართ და ვეცადოთ, რაც შეიძლება, მეტი ლოიალობა გამოვიჩინოთ მათთან კამათში.

აქედან არ შეიძლება, სამწუხაროდ, დავასკვნათ, რომ თვით დაშნაკელები ყოველთვის ლოიალური არიან ჩვენს მიმართ! მკითხველმა იცის, რომ დაუზოგველად ესხმიან ისინი ქართველთა მართველ პარტიას, მთავრობას და მის მეთაურს, აბრალებენ მათ საქართველოს და თვით კავკასიის დაქცევას... შთაბეჭდილება ისეთი გრჩებათ, თითქო ეს პარტია რომ სრულიად ალგვილ იქნას დედამიწის ზურგიდან, სწორედ მაშინ ეშველება საქართველოსაც და კავკასიასაც!

აი ორიოდე მაგალითი. ჩვენ გადავიკითხეთ ამა წლის იანვრის თარიღით «უსაბერ»-იდან თარგმნილი წერილები ბ. რუბენისა, სომხის ერთი აღზნებული პატრიოტისა, და აი რას ვკითხულობთ იქ, სხ. შორის: «თურქ-ქართველთა ცალკე შეთანხმება სომხეთის სახიანოდ ყარსის დაცემის საფასურით, საქართველოს ხსნისათვის...» იქვე ქვევით: «ვერ იხსნა



საქართველო ქართველთა ცალკე შეთანხმებამაც საბჭოებთან, კიროვის საშუალებით, როცა სომხეთი მინებებულ იქნა ბოლშევიკების ზრახვებისთვის».

რას ნიშნავს ეს? როდის შეუთანხმდა საქართველო თურქეთს სომხეთის წინააღმდეგ? ნუ თუ კიდევ აქვს სომხობაში გასავალი ყარსის ზღაპარს? ან როდის შეუთანხმდა საქართველო მოსკოვს სომხეთის წინააღმდეგ? იქნება შვიდი მაისის ხელშეკრულებას გულისხმობს ის?

ბ. რუბენი, ისე როგორც მისი პარტიის პრესა, იმას გაიძახის, რომ ქართველებმა ახალქალაქი წაგვართვესო,—ალბად ამას სთვლიან ისინი ჩვენს «ცალკე შეთანხმებად» მოსკოვთან «სომხეთის წინააღმდეგ»! კარგია ისიც, რომ ბორჩალოსაც არ ასახელებენ, სადაც საქართველოს ჩამოსჭრეს და სომხეთს მიუჭრეს. ასევე მიუჭრეს ბათუმის მხარეში თურქეთს, ყარაიანში—აზერბაიჯანს...

გამოდის, ამრიგად, დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოსთვის კი არ შეუძენიათ, წაუგლეჯიათ და დამნაშავე ისევ ჩვენ «ქართველი მოვინისტები» ვყოფილვართ! რატომ? იმიტომ რომ სტალინი და ბერია «ქართველები» არიან და ახალი კონსტიტუციით ფედერაცია გააუქმეს და საქართველოს სამივე კუთხით შემოჭრილი საზღვრები ძალაში დასტოვესო!

მაგრამ ჩვენ იმიტომ კი არ შეეჩერდით ბ. რუბენის წერილებზე, რომ ესა თუ სხვა უმართლო და შეუსაბამო აზრები ვარდვით, არამედ გვიანდა გავიგოთ მისი გულისნადები სადღეისო საჭიროებოტო კითხვებზე. ის იყო თავის ქვეყნის სამხედრო მინისტრი, იცის კარგად კავკასიის გეოგრაფია და აქედან დიდმნიშვნელოვანი დასკვნებიც გამოაქვს. «კავკასია—ამბობს ის—ერთი მთლიანი ტერიტორია არის თავისი კარით: ორი სამხრეთით (ბითლისი და არზრუმის) და ორი ჩრდილოეთით (დარიალი და დარუბანდი). თუ ეს ოთხი კარი მაგრად ჩაკეტილია გარეშე მტრებისთვის და დაცული კავკასიის ერთა მიერ, მხოლოდ მაშინ შეუძლია კავკასიას თავისუფლება-დამოუკიდებლობის მიღწევა». მაგრამ ეს ოთხი კარი დღეს სხვის ხელშია—აცხადებს ბ. რუბენი—«სანამ რუსეთი დარიალსა და დარუბანდს პყრობს, ის არასდროს დაუშვებს კავკასიის დამოუკიდებლობას... ბითლისი და არზრუმი თურქეთს უპყრია და ამიტომ მიისწრაფის ჩრდილოეთით დარიალისა და დარუბანდის ჩასაკეტად, რათა გზა გაიკაფოს ირან-თურანისაკენ...»

როგორც ხედავთ, კავკასიის და მის ერთა თავისუფლებისათვის საჭირო ყოფილა არა მარტო და-

რიალი და დარუბანდი, არამედ ბითლისი და არზრუმიც, მაშასადამე, ომი რუსეთთან და თურქეთთან, ნებით აბა ვინ მოგვცემს! ბ. რუბენი კავკასიის ერებს აკისრებს იმას, რაც დიდმა სახელმწიფოებმა, სეფარის ავტორებმა ვერ შესძლეს! ეს კიდევ არაფერი-დიდი სომხეთი არა მარტო ჩვენი სასიცოცხლო ინტერესია, არამედ თქვენიცა—გვეუბნება ის—უამისოთ კავკასია ვერ იარსებებს, როგორც დამოუკიდებელი ერთეულიო.

«რუსეთსა და თურქეთს შორის არაფერი გარჩევა—ასკვნის ბ. რუბენი—ორივე თანაბარი მტერია კავკასიის თავისუფლება-დამოუკიდებლობისა... როცა თურქეთი დასტოვებს ყარსისა და არზრუმის სიმაგრეებს, მხოლოდ მაშინ ვიცნობთ ჩვენ მას მეგობრად...»

«ამ მიმართულებით—აცხადებს იგივე ავტორი—სომეხ-ქართველთა უნიონის მიზანი და კრელო იგივეა, რაიცა ჩვენი, დაშნაკუტუნის, და ეს შეიძლება მოკლედ ასე გამოიხატოს: კავკასიის ერთა ერთობა მათ მტერთა წინააღმდეგ. ჩრდილოეთით და სამხრეთით».

აქედან აშკარაა, რომ სომეხ-ქართველთა უნიონი დაარსებულა დაშნაკუტუნის ლოცვა-კურთხევით. გაზეთი «აირენიკ», 28 იანვრის თარიღით, უფრო შორსაც მიდის: «სომეხ-ქართველთა უნიონი არ ჩამოგავს კავკასიის ერთა სხვა ცდებს გაერთიანდენ მარტოოდენ რუსეთის წინააღმდეგ; არა, მას აქვს უმთავრესად ანტი-თურქული ხასიათი».

ნუ დაივიწყებთ, სომხის და აქედან, პირველ რიგზე, დაშნაკუტუნის პრესა განმეორებით აცხადებს, რომ, თუმცა ჩვენ სომეხ-ქართველთა უნიონით დავიწყეთ, მაგრამ საბოლოო მიზანი კი კავკასიის ოთხივე ერის უნიონი ჰრისო. მაშასადამე, ცხადია, რომ დანარჩენი ორი მეზობელიც—აზერბაიჯანი და მთა—ანტი-თურქული ბლოკს უნდა შეუერთდენ!

განა მართალი არ ვიყავით, როცა ვამბობდით ამვე ადგილას, რომ არა თუ სხვა მეზობლები, ჩვენ ქართველები ვერ შევალთ ისეთ კომბინაციაში, რომელიც მიმართულია თურქეთის წინააღმდეგ? ჩვენ იმასაც დავსძენდით, რომ ასეთი პოლიტიკური გეზი დამღუპველია თვით სომხებისთვის.

მაგრამ ამაოა ეს მტკიცება, როცა საქმე გაქვთ დაშნაკელებთან. აბა გასინჯეთ მათი მსჯელობა. «აირენიკ», 25 დეკემბრის, გვეუბნება: «თქვენ ივიწყებთ, რომ თურქეთი მეტად სუსტია შედარებით რუსეთთან; თუ კავკასიის ერებს არ შეუძლიათ თავისუფალი გახდენ თურქეთის სურვილის წინააღმდეგ,

მით უფრო არ შეუძლიათ მათ ესა რუსეთის სურვილის წინააღმდეგ... უეჭველია, ბოლშევიკური და ცარიტული რუსეთი წინააღმდეგი იქნება კავკასიის თავისუფლების, მაგრამ თავისუფალი და დემოკრატიული რუსეთი სულ სხვაგვარ მოეპყრობა კავკასიის ქრებს, მისცემს მათ ისეთივე თავისუფლებადამოუკიდებლობას, როგორც დიდმა ბრიტანეთმა მისცა ირლანდიას, კანადას და სხვებს...»

როგორც ხედავთ, ეს უკვე გარკვეული და ლოლიკურად ჩამოსხმული პოლიტიკაა. ჩვენ არასოდეს გვიფიქრია, ჩვენი ქვეყნების ბედი რუსეთის თუ თურქეთის სურვილებზე დამოკიდებული გაგვეხადა, უარყოფითი რუსო თუ თურქოფილობას; სომხის დაშნაკუტუნის კი ამ უკანასკნელს ემყარება, აშკარად იღებს გუნს რუსეთისკენ, მისგან მოელის ხსნას, თავისუფლება-დამოუკიდებლობას დიდი სომხეთისთვის, «ბითლის-არზრუმის კარების ჩაკეტივით».

დაშნაკელები იმასაც კარგად ხედავენ, რომ ანკარას და მოსკოვის დამოკიდებულება ამ უკანასკნელად თანდათან ფუჭდება და თვით სამხედრო დატაკებაც არაა გამორიცხული მათ შორის. «აირენიკ», 7 და 9 თებერვლის, ვრცლად შეჩერდება ამ კითხვებზე: არ ივიწყებს მონტრეს კონფერენციას, არც მილანოს შეხვედრას... და ამბობს იმასაც, რომ «საბჭოთა მთავრობა შიშობს, თუ ომი ატყდა, თურქეთი არ მიეკედლოს გერმანიას, პოლონეთს, იაპონიას, იტალიას და არ მოიწადინოს კავკასიის დაპყრობა..» გაზეთი ცოტა რამესაც კი გამოელის, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, სომხებისთვის. ვინაიდან ბოლშევიკები იძულებული იქნებიან, ასეთ საშიშ ვითარებაში, დათმობები გააკეთონ კავკასიელთა მიმართ, სომხებს შეუძლიათ მოსთხოვონ მათ «დაუბრუნონ ახალქალაქი, ყარაბახი, ნახჭევანი... ვინაიდან სომხები ყველაზე საიმედო ელემენტებია თურქეთთან ბრძოლაში». გამოდის, ამრიგად, რომ დაშნაკელები ბოლშევიკებსაც კი გადაებმიან, თუ ისინი დაუთმობენ მათ მეზობლების მიწაწყალს.

მაგრამ აი გადამპყრელი დებულება. «აირენიკ», 9 მარტის, ეკამათება სამკოვარის ორგანოს «არევ»-ს, რომელიც უსაყვედურებს პირველს ორგულობას რუსეთისადმი: «დღეს კიდევ არაა შესაძლებელი ავირჩიოთ რუსეთი თუ თურქეთი. იმ დღეს, როცა რუსეთი და თურქეთი ისევ აიშლებიან, მდგომარეობა ძირიანად შეიცვლება სომხის ერისთვის და ჩვენ, ყოველი დავის გარეშე, უნდა დავირაზმოთ

რუსეთის მხარეზე». თავის პოზიციის კიდევ უფრო ნათელსაყოფელად ის განმარტავს ქვევით: «გქმნით კავშირებს ჩვენ მეზობლებთან და ვესწრაფით მათ თანამშრომლობას, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ უთუოდ ვილაშქრებთ რუსეთის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენი პოზიცია იგივე რჩება მის მიმართ—ბრძოლა იდეოლოგიური და არა იარალით».

განა ცხადი არაა აქედან, რომ დაშნაკუტუნის პოზიცია იგივეა დღეს, რაც დიდი ომის დროს? როგორც მაშინ, ისე დღეს, რუსეთი იგივე მრისხანე ძალაა, შემმუსრავი ზევით დასახელებულ ოთხი დიდი ქვეყნისა, თურქეთისაც, თავის თავად ცხადია. ტყუილა გვეგონა, რომ სომხეთის მართველმა პარტიამ ცოტა რამ მინც ისწავლა წარსულიდან, ტყუილა იკატუნებს ბ. რუბენი თავს, შეცდომები ჩვენც მიგვიძღვის წარსულშიო, პარტია შეუპყრია რევანშის სულს... მაგრამ გულუბრყვილოც რომ არის! ქართველები, თათრები, მთიელნი უნდა ჩაებან ჩვენს ფერხულშიო!

საინტერესოა, თქმულთან დაკავშირებით, გაკვრით მინც ვახსენოთ ახალგაზდა სომენ-ნაციონალისტების პოზიცია. მათი ორგანო «აზგ» (ერი) № 6, რადიკალურად უარყოფს დაშნაკელების რევანშს და მოითხოვს თურქეთთან მორიგებას და მეზობლებთან მკიდრო კავშირს რუსეთის წინააღმდეგ. მას სასაცილოდ არ ჰყოფნის «ბერია და სტალინის ქართველობა, რა სისულელეა!»—გაიძახის ის. «კავკასიის ნაციონალისტები, დღევანდელ სტატუ ქვოს ნიადაგზედ, გულწრფელად, სინდისიერად და რეალისტურად უნდა შეუდგენ საერთო პოლიტიკურ და დიპლომატიურ მუშაობასო»—მოითხოვს ის.

სომხის ნაციონალისტებს, არც კი გაუგონიათ ალბად, როცა ამასვე მოვითხოვდით ჩვენ თორმეტი წლის წინ. 1921 წლის დეკლარაციაში კიდევ დაეწერეთ და კონფედერაციის პაქტში განვიმეორეთ, რომ საზღვრების დავა მორიგებით ან არბიტრაჟით უნდა გადაიჭრასო.

მაგრამ ყველა ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც ზევით დავინახეთ. დაშნაკელებს აქვთ თავისი პოლიტიკა და ეს კარგს არ უქადის არა მარტო სომხეთს, არამედ მის მეზობლებსაც. კავკასიის კონფედერაციის საბჭოს უკანასკნელმა ნაბიჯმა—მოლაპარაკება გაემართა სომხებთან—უნაყოფოდ ჩაიარა. საჭიროა სხვა ცდები, სხვა ნაბიჯები, სანამ გვიან არ იქნება.

ს ა ი მ პ ე რ ი ო ს ვ ლ ა ნ ი

მუსოლინის «საინსპექციო მოგზაურობა» ლიბიაში უსათუოდ სცილდება იტალიის შინაგარეობის ამოცანებს, თუნდაც საიმპერიო ფარგლებში აღებულად. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ეს გამგზავრება შემზადდა სულ ცოტახნის და შორებით მასუკან, რასაც ადისაბებში ჰქონდა ადგილი, გასაგები ხდება ისიც, რომ მეტროპოლის საზღვრებს იქით გასვლა ისეთი პიროვნებისა, როგორც არის ფაშისმის წინამძღოლი, აღსავე უნდა იყოს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობით.

იტალიური პრესა პირველხანობით არ იყო მოწადინებული აღენიშნა მთავრობის უფროსის კირენაიკაში გამგზავრების ნამდვილი მიზანი; მას აწერდნენ უფრო სახეიმოსა და სამანიფესტაციო ხასიათს, ხოლო დაფარული სამხედრო-პოლიტიკური დანიშნულება მისი სულ ადრევე გამოძეულა და უცხოეთის პრესასთან პოლემიკაში (მომეტებულად ინგლისურმა).

ორმა გარემოებამ პოლიტიკურ პროფანებისათვისაც კი მისახედრი ჰქმნა კოლონიურ ექსპანსიით გატაცებულ იტალიის ახალი საგარეო დემონსტრაცია! ესენი არიან: 1) თითქმის ორი ათასი კილომეტრის სიგრძის სტრატეგიული გზის გაყვანა, რომელიც სურის ლიბიის მთელს ტერიტორიას და ებჯინება ეგვიპტისა და ტუნისის საზღვრებს და 2) გრანდიოზული საზღვაო ალღუმი, რასაც ამ დღეებში (ეს სტრუქტურები მარტის 15-ში იწყება) ადგილი ექნება ლიბიის ნაპირებთან მუსოლინის ზედამხედველობით. ამათ ზედ დაერთო ერთი უცნაური ამბავიც, რამაც საფრანგეთსა და მეტწილად ინგლისს უმუნვა მიჰგვარა: ჩრდილო აფრიკეთში (და იქნებ სხვაგანაც) მილიონობით გავრცელდა არაბულ ენაზე შეთხზული მოწოდება, რომელშიაც მუსოლინი დასახელებულია ვითარცა პროტექტორი ისლამისა! ამ გარემოებამ ზოგიერთ დიპლომატურ კორესპონდენტს საბაბი მისცა ომის წინა წლების განხილვისათვის, როცა მილიტარულად განწყობილ ვერმანის იმპერატორი ბაღდადში ჰახავათის მწვენი ბაიარას ემთხვევოდა და ურჩ ვერობას მუჰამედის მართლმორწმუნეთა რისხვით ემუქრებოდა...

რაკი უცხოელებთან შებასებამ იტალიურ გაზეთებს გამოათქმევინა ნამდვილი დანიშნულება მთავრობის უფროსის ასე მოულოდნელი ინსპექციისა, საჭირო გახდა მისი განმარტებაც, რამდენადაც სამხედრო და დიპლომატური მოსახრებანი ამას შეაძლებლად ჰხდიან. აქვე იმისი თქმა ჩემთვის სავალდებულოდ მიმაჩნია, რომ ინგლისურ პრესასთან პოლემიკას აქ მეტისმეტად დავდაუქერილად მისდევენ და, სადაც კი მოსატანი ხდება, უკლებლივ აცხადებენ პატივისცემასა და მზვიდობის მოყვარულ განზრახვებს დიდი ბრიტანეთის საიმპერიო ინტერესებისადმი...

აი ესლაც ხაზგასმით სწერენ, რომ საფრანგეთსა და ინგლისს არავითარი საბუთი აქვთ იძახონ, თითქოს აწ გაშენებულ გზას (რომელსაც იტალიურ ტექნიკურ ნიჟის გარდა, მრავალი ასი მილიონიც შე-

ეწირა) მარტოდენ პოლიტიკური და სამხედრო დანიშნულება ჰქონდეს, მაშინ როდესაც მისი გაყვანა მიზნად ისახავდა საცივილიზაციო და სატრაფიკო, სატურიზმო და საეკონომიო მიზნებს. აქ აცხადებენ დეკლარაციულად იმასაც, რომ ამ გზის გაყვანა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს აგრესულ მოქმედებად ეგვიპტისა, თუ ინგლის-ეგვიპტის სუდანის წინამდევ. არადროს ყოფილა, აცხადებენ, რომ იტალიის ყოფაქცევა ლიბიის მხრითა, თუ ეთიოპიისა (იტალიის იმპერიათ ქცევის შემდგომ) ყოფილიყო მათი საწინამდევო. იტალიური პრესის აზრით მრავალი ნიშნები კი არის პირიქით იმისა, რომ სხვადასხვა ზონები ეგვიპტის ტერიტორიისა (არა ეგვიპტელთა საბრძანებლად ქცეულნი), მოწყობილარიან სწორედ იმ მიზნით, რომ ემუქრებოდნენ იტალიის უფლებებს კირენაიკაში...

ამ მხრივ საყურადღებო სხვა მასალაც არის, მაგრამ უადგილობისა გამო შევჩერდები მხოლოდ ერთზე, რაცაც იქნებ კიდევაც უმთავრესია და რისა ერთზე საფიქრებელია მოეწყუო ეს ეგზომი აურზაურის გამომწვევი მოგზაურობაც: ეს არის ევროპაში წონასწორობის დარღვევა, ეს არის ლოკარნოს არაფრად ქცევა, ეს არის 1925 წლის ერთობის დაგლეჯა, ეს არის დაბოლოს მოწყობილებულ მიმართულებათა ჰაერში გაბნევა... თავდაუსხმელობისა და ურთიერთ ნდობის თანამშრომლობა აღარა სუფევს ევროპაში! ლოკარნო მოკვდა, ასე ესმით იტალიელებს, და აი რატომ:

გარნა სჯობს ეს განმარტება გამოვითქმევინოთ ისევ იტალიელებს. აი რასა სწერს მათი გამოჩენილი პუბლიცისტი «ჯორნალე დ'იტალიას» რედაქტორი ვირჯილიო გაიდა: «საფრანგეთის გამოისობით მოეწყუო ახალი მდგომარეობა მის მიერ საბჭოებთან პაქტის შეკვრისა გამო. ლოკარნოს პაქტი მოწოდებული იყო შეექმნა ნდობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ფრანგო-სოვეტური პაქტი კი ჰქმნის გერმანიის წინამდევ სამტრო სისტემას. ამან შთააქრო ლოკარნოს სული. და არც კი იმისი გაგება შეიძლება რიგიანად, რა გზითა და საშუალებით მოსახერხებელი არის საფრანგეთ-რუსეთის ასოციაციის მექანიზმით დასავლეთის პაქტის შენარჩუნება...»

ამრიგად იტალიური პრესის აზრით გარკვეულია: რომ ევროპის მშვიდობიანობას არღვევს ისევ ბოლშევიკური რუსეთი, რომლის დაძახნისათვის სათანამშრომლოდ ევროპის ზოგიერთი პოლიტიკოსები წლებზე ფეხს იდგამდნენ! ასევე მოუვიდა ძველი აღქმის წინასწარმეტყველს: თავის მიერ გამოხმობილი ავი სულები თავიდან ვეღარ აიცილა.

აგრეთვე მიუხედავად სამედიტერანეო შეთანხმებისა ინგლისთან და gentlemen's agreement-ის შეკვრისა თურქეთთან, იტალია თავს უზრუნველყოფილად მაინც ვერა ჰგრძნობს! მას საჭიროდ მიაჩნია ახალი კომბინაციების მოწყობა და შიგადაშინგ თავის სამხედრო ძლიერების დემონსტრაცია... მჭიდრო კავშირი გერმანიასთან კი იძულებულ ჰყოფს მას სინათლეზე გამოფინოს თვის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ამხნობამდის ბუნდოვანი პუნქტები...

რ. ინგილო.



კავკასია და კუსული იმპერიალიზმი

დრონი მიდინ, თავობა თავობას ცვლის, ეპოქა ეპოქას. იცვლება პირობები, გარემოებანი. არ იცვლება მხოლოდ იმპერიალიზმის ბუნება, მისი სული და მიზნები. იმპერიალიზმი ნთქავს ყველაფერს, რა-ნეც ხელი მიუწვდება. ჩემი ჩემია, შენიც ჩემია, შენც თვით ჩემი ხარ—აი მისი მორალი. რუსული იმპერიალიზმიც საერთო კანონს ემორჩილება. ის მსუ-ნავია, გაუმადლარი, მუხანათი, მზაკვარი, დაუნდობელი, კანს იცვლის, დღეს მონარქიულია, ხვალ ბო-ლშევიკური, ზეგ «დემოკრატიული»—მილიუკოვის სახისა და მზგავსებისა,—გული მუდამ გველისა აქვს: სურს მოგზამოს, შეგჭამოს, მოგინელოს. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ რუს ემიგრანტების სუ-ლისკვეთება. უბედურნი, სამშობლოს მოცილებუ-ლნი, სხვის კარმიდამოზე მოხეტიალენი, იფიქრებ-ნი, გონს მოვიდოდენ, ჭკუას ისწავლიდენ, თავის თავს იცნობდენ, თავის ტყავში დაეტევოდენ და სხვის ეროვნულ გრძობებს და ინტერესებს პატივს სცემდენ, მაგრამ არა. არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა. რუსული ემიგრანტული წრეე-ბი შავზნელ რუსეთის ტრადიციებს არ დალატობენ. ამას მუვერმეტყველურად ადასტურებს გასულ თვეს პარიზში მილიუკოვის მიერ მოწყობილი და მისივე თავმჯდომარეობით წაკითხული ერთი მოხსენება. მოხსენება გააკეთა ვინმე აბაციევმა კავკასიის ერე-ბის შესახებ. მოხსენება თავიდან ბოლომდე პროფ-კაციული სულით იყო გაქდენთილი, კავკასიის ერ-თა შორის შუღლის და სიძულვილის დათესვის და გაღვივების მიზნით აწყობილი. იშვიათი უვიცობა გამოიჩინა მომხსენებელმა კავკასიის სინამდვილს. ამ უვიცობით, ვფიქრობთ, აიხსნება ის თავხედობა და უდიერობა, როგორითაც მან მოიხსენია მთიელ-ნი და თავისი მშობლიური ერი—ოსებიც. ამ უვი-ცობითვე აიხსნება მის მიერ ბავშური, გულუბრყვი-ლო დაფასება კავკასიის ერთა წარსულისა და ის მახინჯი დასკვნა, რომელიც მან გააკეთა. აი მომხსე-ნებლის დებულებები: კავკასიაში რამდენიმე ერი ცხოვრობს, მათი ზნე-ჩვეულებანი და კულტურული დონე სხვადასხვაა. კავკასია მთაგორიანია. ამიტომ ურთიერთობა იქ მოზინადრე ერთა შორის განხლე-ბულია, კავკასიის ერთა შორის არასადეს სოლი-დარობა არ არსებობდა, წინამდებ, მათ შორის მუ-დამ ბრძოლებს ჰქონდა ადგილი, სანამ რუსეთი არ მოვიდა. რუსეთმა მოაზრიგა მოუტიგებელნი. მოის-პო რასული, რელიგიური, დინასტიური, ტერიტო-რიული კონფლიქტები. საერთოთ რუსულმა კუ-ლტურამ, რუსულმა სკოლამ, ენამ, სახელმწიფო აპა-რატმა შექმნა კავკასიური მთლიანობა. წავიდა რუ-სეთი, დაიწყო ძველი ისტორია, გაიღვიძა კავკასიის ერთა შორის ძველმა შუღლმა და მტრობამ. კავკა-სიის კონფედერაციის იდეა მითია. კავკასიის ერები ვერ გაექცივიან საერთო მოვლენას: დიდი ერები იმორჩილებენ და თავის გავლენის ჭეშუყ აყენებენ პა-ტარა ერებს. კავკასიის ერებიც, უქველად, რომე-ლიმე დიდი ერის მსხვერპლი გახდებიან. ამიტომ კავკასიისთვის უმჯობესია ისევ რუსეთთან იყოს.

რამდენი დებულება, იმდენი სიყალბეა. არის ჭეშმარიტებანი, რომელთაც დამტკიცება არ სჭირ-დებათ, განა დამტკიცება სჭირია, რომ კავკასია თა-ვის თავს ეკუთვნის და რუსეთს არავითარი უფლება მასზე არა აქვს? კავკასიის არაფერი აქვს საერთო რუსეთთან არც კულტურულად, არც რასულად. სა-ერთო კავკასიურმა ბუნებამ, გეოგრაფიამ, ისტო-რიულმა წარსულმა შექმნა განსაკუთრებული კავკა-სიური სული, კავკასიური კულტურა, კავკასიური ტი-პი. მართალია, კავკასიის ერთა შორის წარსულში ყოფილა კონფლიქტები, მაგრამ მტკიცე სოლიდა-რობასაც ჰქონია ადგილი. რუსეთის მუხანათური პოლიტიკა კავკასიაში ცნობილია. მას შეჰქონდა შუღლი და განხეთქილება კავკასიის ერთა შორის. აბეჩავებდა მათ მორალურად, კულტურულად (ერ-თი უმაღლესი სასწავლებელიც კი ვერ გამოიმეტა მან კავკასიისათვის), რუსიფიკაცია აჩქარებულ ტემპით სწარმოებდა. ადგილობრივ მკვიდრთ თავის სამშობლოში სახელმწიფო ამსახურში არ ილე-ბდენ. ეკონომურ ცარცვას საზღვარი არ ჰქონდა. გაქონდათ კავკასიიდან, რისი გატანაც კი შეიძლე-ბოდა და არავითარ ექვივალენტს არ იძლეოდენ.

კავკასია იყო რუსეთისათვის საწველი ფური-ასეთ მდგომარეობას, რასაკვირველია, კავკასია ვერ შეურიგდებოდა და, როდესაც ეს შესაძლებელი შე-იქნა, თავი იხსნა. ხელმოკრედ დაიპყრო რუსეთმა კავკასია, მაგრამ რუსული იმპერიალიზმი დღეს ვერ შესძლებს მის ჩაყლაპვას. დიდი მთლიანი, განუყო-ფელი რუსეთი წარსულს ეკუთვნის. საბჭოთა კავ-შირის დაჩაგრული ერები ამოძრავდენ, საკუთარი ნაციონალური კერის გაჩაღებისკენ ისწრაფვიან. მათ ამ გზაზე ვერავითარი მილიუკოვები ვერ შე-ჩერებენ.

კავკასია 469,600 კვ. კილ. შეიცავს. მისი მცხოვ-რებთა რიცხვი 10 მილიონს აღემატება. ამას გარდა, ეკონომიური მთლიანობა, სტრატეგიული მოხაზუ-ლობა, ბუნების სიუხვე, მკვიდრთა ტემპერამენტი, გამძლებლობა—ჰქმნის კავკასიიდან ერთ ძლიერ სა-ხელმწიფოებრივ ერთეულს. ეს კარგად ესმით კავკა-სიის მტრებს. ამიტომ არ ზოგავენ ძალღონეს კავკა-სიის ერთა შორის შუღლი და მტრობა შეიტანონ, კავკასიის კონფედერაციის იდეა გაამასხარონ. ბ-ნ აბაციევის მოხსენება სავესებით აქეთკენ იყო მიმარ-თული.

აბაციევის ღირსეული პასუხი გასცეს ქართველ-მა და სომეხმა ორატორებმა, ხოლო მილიუკოვმა მას კვერი დაუკრა: მომხსენებელი ჭკვიანი კაცია, ჭკუით ლაპარაკობსო. ძალა ჩვენ მხარეზეა. ამიტომ კავკასიისთვის უმჯობესია მოგვირიგდესო. დაპი-რებით ვერავის ვერაფერს დავპირდებით, ხოლო უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ დემოკრატები ვართ და აქედან ჩვენი მოქმედების ხაზის გათვალისწინებაც შეიძლებაო.

ბ-ნი მილიუკოვი ე. წ. «დემოკრატიული გავრ-თიანების» მეთაურია და მისი პირით ეს დემოკრა-ტიული გავრთიანება დალატებს. ჩვენ უპასუხებთ ბ. მილიუკოვს და მის მოაზრეთ: თქვენს ტყავში დაეტიეთ. ეს უკეთესი იქნება თვით

რუსეთისათვის. გამოიღვიძეთ, თვალები მოიფშვინო-  
ტეთ, მიმოიხედეთ და დაინახავთ, რომ დღეს ერების  
აღორძინების ხანაა. ჩამორჩენილი ერებიც კი ამო-  
ძრავდნენ, დამოუკიდებელი კერის მოწყობისაკენ  
ისწრაფვიან. იმპერიალიზმის ტახტი შერყეულია.  
გაიხედეთ, რა ხდება ინდოეთში, ჩრდილო აფრიკეთ-  
ში და სხვაგან. იმპერიალიზმი ლიბერალიზმით ცდი-  
ლობს პოზიციების შენარჩუნებას, მაგრამ გამოღვი-  
ძებულ და თავის თავის შემცნობ ერის განთავისუ-  
ფლებას ვერაფრითაი ძალა ვერ შეაჩერებს. კავკასი  
ამ მონახსათვის თავი. ის სუსტი იყო დაქუცმაცე-  
ბული. უძლეველი იქნება მთლიანი. ეს კავკასიის  
ერებს კარგად ესმით. ამიტომ შეთანხმდნენ ისინი  
კონფედერაციის საფუძვლებზე. ეს გარემოება, სჩანს,  
დიდად აღლევებს რუს იმპერიალისტებს. მით უმე-  
ტეს ეცდებიან კავკასიის ერები განამტკიცონ ურ-  
თიერთ შორის სოლიდარობა და შექმნან კავკასიის  
კონფედერაციული რესპუბლიკა.

ილია ნუფუბიძე.

ნ ა ვ ს ი გ ა ტ ქ დ ა

(ბოლშევიკების წინამძღვე)

I. ანდრე ყიდის წიგნი.

ამ უკანასკნელ დროს დაიბეჭდა მთელი რიგი  
წერილებისა და წიგნებისა, რომლებშიაც ბოლშევი-  
კების წინამძღვე გამოდიან გუშინდელი მათი მეგობ-  
რები და ხშირად თვით კომუნისტები. კომუნის-  
ტურ უკუდმართობისა და იქაურ უმწიფობის შესახებ  
სწორედ სწორედ ისინი, ვინც გუშინ კიდევ გუნდრუკს  
უკმევდნენ მოსკოვსა და მის მიღწევათა გამოსათქმე-  
ლად სიტყვებს ვერ პოულობდნენ.

ამ წერილებსა და წიგნებს შორის აღსანიშნავია  
გამოჩენილ ფრანგ მწერლის დორჟელესის ფელეტო-  
ნები საერთო სათაურით «გაუმარჯოს თავისუფლე-  
ბას». დორჟელესმა მოიარა რუსეთი, გერმანია და  
იტალია, ე. ი. მოწინამძღვე დიქტატურათა ქვეყნე-  
ბი, და ის საერთო სათაური, რომლის ქვეშ მან მოა-  
ქცია ამ ქვეყნების ცხოვრებიდან გამოტანილი შთა-  
ბეჭდილებანი, ნათელ ჰყოფს მის ძირითად აზრს.

დორჟელესი დემოკრატია და მისთვის სულისა  
და გონების თავისუფლებაა უპირველესი პირობა  
სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა და წყობილების,  
ხოლო მოსკოვისა და მის მეგობრობის თვალში ის  
მანც ბურჟუაა, და, მასასადამე, ამ მხრით მისი და-  
ფასება, სამართლიანობისა სრულის დაცვით და სი-  
ნამდვილის უტყუარის გადმოცემით დაწერილი, არ  
ეკუთვნის იმ ნაწერს, რომელთაც გატყვეს ნავსი.  
ნავსის გამტყენი არიან მოსკოვის გუშინდელი მე-  
გობრები და მაქებარნი და ნამდვილი კომუნისტები.

პირველი ყუმბარა ააფეთქა იმან, ვინც სულ ბო-  
ლო დრომდე ბოლშევიკურ სამოთხის განუწყვეტელ  
დიდება-გალობაში იყო, ბ. ანდრე ყიდი. არ გეგო-  
ნოთ, რომ ბოლშევიკებმა რითიმე აწყენინეს, ვერ  
დაუფასეს მეგობრობა და გაწეული სამსახური.

არა. დღესაც თუ სხვა თვალთ უყურებს ბოლ-  
შევიკურ საქმიანობას, თუ იქაური საზოგადოებრი-

ვი სულისკვეთება, გონების და ნების მიდრეკილება  
სულ სხვანაირად იხატება მის თვალსა და გონებაში,  
ამის მიზეზი სრულიადაც არ არის პარადი რამ უკ-  
მაყოფილება.

პირიქით, მის წინასიტყვაობაში ერთნაირი გუ-  
ლისტივილი და გულდაწყვეტილობა ისმის და არა  
წყრომა.

სამი წელიწადია აგერ, საჯაროდ განვაცხადე ბო-  
ლშევიკურ კავშირისადმი ჩემი აღტაცება, სწერს  
ქიდი ამ წინასიტყვაობაში, და ჩემი სიყვარულით.  
«უმაგალითო ცდა იყო გაკეთებული იქ, ისეთი, რო-  
მელიც იმედით გვივსებდა გულს და რომლისგანაც  
დაუსრულებელ პროგრესს გამოველოდით და აღმა-  
ფრენას, რომელსაც მთელი კაცობრიობა უნდა გაე-  
ტაცნა მთლად ერთიანად. სწორედ რომ ღირს იცო-  
ცხოლო კაცმა, რომ ეს განახლება იხილო და მის გან-  
ხორციელებას შენი სიცოცხლე შესწირო. ჩვენს გუ-  
ლსა და გონებაში თვით მომავალი კულტურისა და  
კავშირის დიდებული მომავალი მქიდროდ იყვნენ  
ერთმანერთს ვადაბმული».

უკვე, იქ გამგზავრებამდის, იქაური უკანასკნე-  
ლი ვადაწყვეტილებანი, რომელთაც მიმართულების  
ცვლილება ეტყობოდა, ცოტა არ იყოს გვაწუხებ-  
დნენ. მაშინ (1935 წ. ოქტომბერი) მე ვწერდი:

«რუსეთის კავშირის წინამძღვე მიტანილ იერი-  
შების დიდი უგუნურობა და უპატიოსნობაა იმის  
მიზეზი, რომ დღეს უფრო დაჟინებით ვიცავთ მას.  
ისინი, მოკიჟინენი, სწორედ მაშინ დაიწყებენ მის  
მოწონებას, როდესაც ჩვენ ამას დავესხნებით; რად-  
გან ის; რასაც ისინი მოიწონებენ, იქნება კავშირის  
კომპრომისები, მისი დათმობანი, რომელნიც ათ-  
ქმევინებენ სხვებს: «ხომ ხედავთ!..» მაგრამ რომელ-  
ნიც დააშორებენ კავშირს იმ მიზანს, რომელსაც ის  
თავიდან მისდევდა.

ნეტა, ამ მიზანს მიპყრობილი თვალის მობრძე-  
ბა არ დაგვკირდეს საბჭოთა კავშირისაგან სწორედ  
იმის გამოისობით, რომ ამ მიზანს არის მიპყრო-  
ბილი...»

ანდრე ყიდი, როგორც ნათლად სჩანს ამ ამონა-  
წერიდგან, სრულებითაც არ დაუკარგავს იმ საგნის  
რწმენა, რომელიც ბოლშევიკებმა წააწერეს თავი-  
ანთ დროშას პირველში. პირიქით, იმას სჩივის, რომ  
თვით ბოლშევიკებმა უმტყუენეს თავიანთ მიზანს  
და ამ საგნის ერთგულებამ ზურგი არ შემაქციევინოს,  
ნეტაო, რუსეთის კავშირისათვის.

გულწრფელი აღსარება ამა თუ იმ იდეალის ადა-  
მიანის სინიღისის საქმეა, და ბ. ყიდი თავისუფა-  
ლია გაიხიაროს ბოლშევიკური იდეა. აქამდის ის  
იცავდა ამ იდეას, მაგრამ, როგორცა სჩანს, მას თა-  
ვისებურად ჰქონია ის შეგნებული. მის წარმოდგე-  
ნაში ბოლშევიზმს უნდა მოეთავსებინა ადამიანის  
სულის უკიდურესი თავისუფლება და ბოლშევიკურ  
მშენებლობის და პროგრესის დიქტატორული წესი.

ეს მოლოდინი, ეს რწმენა გაცრუებია და უკანა-  
სკნელი მისი წიგნი «რუსეთიდან დაბრუნება, მიუ-  
ხედავად ზემოდ გამოთქმულ ნატვრასა, რუსეთის  
კავშირისადმი სრულ ზურგის შექცევის მოწმობაა.

«მშრომელ ერთს პირისპირ შეხვედრახე, სამუ-  
შაოზე, ქარხნებში, «კულტურის პარკებში», დასას-



ვენებელ სახლში, ღრმა სიხარულის წამები გამოვიარე. ამ ახალ ამხანაგთა შორის, ვგრძნობდი ძმურ გრძობის უცვლელ დამყარებას, გული საგულეს არ მეტეოდა, მეტის გრძობით გაგანიერებულდი... არა, არა! იქ არაფერი ყოფილა მოწყობილი, გამხადებულნი; მე მოულოდნელად გავჩნდი... ასე იწყებს უდიდის თვის წიგნს, და ჩვენც გვჯერა მისი სიწრფელე; მეტიც: იქნებ, მის უცვლელ ამა თუ იმ ადგილას მისვლისათვის არა ყოფილიყოს დამხადებულნი, ოღონდ იქაური ცხოვრება განა ერთხელ და სამუდამოდ არ არის უცხო დამკვირვებლის მოსატყუილებლად მოწყობილი? განა თვით ჰაერში არ ტრიალებს ის შიში, რომელიც ყოველ სხვა გაფრთხილებას უკეთესად ანიშნებს კავშირის მოქალაქეს, როგორ დაუნდეს და როგორ იცრუოს გარეშე სტუმრის წინ?..

«რასაც ყველაზე უფრო სიამოვნებით გიჩვენებენ, ეს რაც ყველაზე კარგად აქვთ მოწყობილი; ეს თავის თავად იგულისხმება და საესებით ბუნებრივიცაა: ოღონდ მე მომხვლია ანაბდეულად შესვლა სასოფლო სკოლებში, საბავშვო ბაღებში, კლუბებში, რომლის ჩვენება ახარდაც არ ჰქონიათ (?) და რომელიც არაფრით განირჩევიან მრავალ სხვისაგან (?) და ყველა ამ დაწესებულებამ მომხიბლა»...

«წითელ მოედანზე ახალგაზრდობის დღესასწაულს დავესწარი მოსკოვში... აქ საპარადოდ იყო გამოყვანილი ქვეყნის ოთხსავე კუთხიდან მოსული საუცხოო ახალგაზრდობა. უკეთესი სანახაი ვერც კი წარმომედგინა. ცხადია, ეს უნაკლები ქმნილებანიწინდაწინდევ გაცხრილდნენ, ნავარჯიშევენი და მომხადებულნი იყვნენ. მაგრამ როგორ არ მოხვიდე აღტაცებაში იმ ქვეყნისა და იმ რეჟიმის წინაშე, რომელთაც შესძლეს მათი შექმნა?»

160 მილიონი ხალხი გაცხრა, საუკეთესო ნიმუშები ამოარჩიო, გაწრთვნა, ავარჯიშო, მოამზადო და მერე საპარადოდ გამოიყვანო და მაყურებელს თვალი დაუყენო. ეს რა გასაკვირველია, თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ ყველა ეს კერძო ინიციატივით და კერძო ხარჯით კი არ არის მოწყობილი, არამედ თვით სახელმწიფოს მიერ და მის ხაზინის საშუალებით.

მაგრამ ეს უდიდის წიგნის პირველი თავიდან არის ამოწერილი.

ენლა ყური ვათხოვთ შემდეგ შთაბეჭდილებათ: ... «ზაფხულის თვეებში, თითქმის ყველას თეთრი აცვია. ყოველი ერთი დანარჩენს გავს. არსად სხვაგან არ გრძობთ სოციალურ ერთდონეობის შედეგს ისე, როგორც მოსკოვის ქუჩებში: უკლასო საზოგადოება, რომლის ყველა წევრებს ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს. ჩაცმულობაში რაღაც წარმოუდგენელი ერთფეროვანობაა. უქვევლია, ხილვა რომ შეიძლებოდეს, ასეთსავე ერთფეროვანობას დავინახავდით გონებისაც... ეს ერთფეროვანობაა, რომ ბედნიერ ხდის ყოველ აქაურ მოქალაქეს. ისე დიდ ხანს იყო მოკლებული ყველაფერს, რომ ენლა ცოტა რამ აკმაყოფილებს. როდესაც მეზობელს მეტი არ აქვს, ადამიანი კმაყოფილია იმით, რაც აქვს...»

ადამიანთა ამ ზღვაში შევდივარ...

ბედნიერება ასეთი გარეგანი და, როგორც იქვალბს უდი, შინაგანი ერთფეროვანობაც? თუ მე არა მაქვს, სხვასაც ნუ ექნება, ასეთია უდიდის აზრი, თუ ამ ირონიით იწყება ის მწარე კრიტიკა, რომელსაც წარმოადგენს უდიდის წიგნის დანარჩენი ნაწილი?

მივყვით და ვნახავთ.

«რას აკეთებს ეს ხალხი ამ დუქნის წინ? კუდს; კუდს, რომელიც შემდეგ ქუჩამდი გაგრძელებულა. ორასი-სამასი სულია; ყველა მშვიდად და მოთმენით ელოდება, ჯერ ადრეა. დუქნის კარი ჯერ დაკეტილია. ერთ საათს უკან კიდევ გამოვიარე. ისევ ისე დგანან. ვკვირობ, რად სჭირიათ ასე ნადრევედ მოსვლა?»

— როგორ თუ რაში სჭირიათ?.. მხოლოდ პირველთ თუ ერგებათ რამე...

რამდენიმე საათის შემდეგ შევდივარ დუქანში. უშველებელია. შიგნით აუწრელი აურზაურია. მაგრამ გამყიდველები სრულდებოდაც არ არიან ადელვებუნი, რადგან მათ გარშემო არავითარ მოუთმენლობის ნიშანს არ აქვს ადგილი. ყველა ელის თავის ჯერს, ზოგს ბავშვი ჰყავს ხელში. თუ საჭირო იქნა, მთელ დღეს დარჩება ასე ისეთს შეხუთულ ჰაერში, რომელიც ახალ მოსულისათვის პირდაპირ აუტანელია. ბედს ემორჩილებიანთქო, მინდოდა შეთქვა, მაგრამ რუსი ბედის მორჩილზე მეტია. ის რაღაც სიამოვნებას პოულობს ლოდინში და თქვენც სიამოვნებით ვალოდინებთ... საქონელი თითქმის მთლად საზიზარია. კაცი იფიქრებს, რომ განგებ უკარგავენ მიმზიდველობას, რათა თუ დიდი გაკვირვება არა, ისე არ იყიდოს არავინ... ღირსებაზე ფიქრი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც რაოდენობაა საკმარისი... ასეც არ იყოს, კავშირის ხალხები ყველაფერს იტაცებენ, ისეთსაც, რაც ჩვენ, დასავლეთლებს, უშნოდ მიგვაჩნია... ბოლოს გემოვნება მაშინ იხსნება, როდესაც ნებადართულია შედარება. როდესაც სახელმწიფოა ფაბრიკანტიც, მყიდველიც და გამყიდველიც, ღირსების ამაღლებამ კულტურის პროგრესს უნდა უცადოს.

და მეც მაგონდებიან ჩვენი დიდი მწარმოებლებიდან დაწყებული პატარა ვაჭრებამდის; რასაც ისინი თავს იმტვრევენ და გამჭირახობას იჩენენ, რა მოვიგონოთ ისეთი, რაც მყიდველის გემოს დააკმაყოფილებდეს, რით ვაჯობო ჩემს მეტოქესო. ყველა ამისი არავითარი დარდი არ აქვს სახელმწიფოს, რადგან მეტოქე არა ჰყავს. ღირსება? «რა საჭიროა. თუ კონკურენცია არ არის», მიპასუხეს...

მაგრამ დაუფრთხედით მოსკოვის ხალხს. რაც ყველაზე უწინ გეცემათ თვალში, ესაა მისი არაჩვეულებრივი უზრუნველობა... სწორედ რომ სასწაულისებური აღმოჩენა იყო სტახანოვიში მის მოსაშლელად. სტახანოვიში ზედმეტია ისეთ ქვეყანაში, სადაც მუშები მუშაობენ...

ერთერთ ქარხანაში ერთი სტახანოვილი გამაცნეს. ამან იმას მიაღწია, რომ რვა დღის სამუშაოს ხუთ საათში აკეთებოდა (იქნებ ხუთის დღისას რვა საათშიო, მითხრეს, აღარ მახსოვს). ვაგებდე და ვიკითხე, იქნება უწინ ხუთი საათის სამუშაოს რვა დღეს ანდომებდათქო? ჩემი კითხვა არ მოსწონთ და პასუხს არავინ მაძლევს. ვერ მოვიტომინე და ვუამბე,

ფრანგი მადნის მუშები რუსეთში სამოგზაუროდ ჩამოვიდნენ და მადნების დათვლიერების დროს ამხანაგურად შესთავაზეს რუს მასპინძლებს, მოდიო შეგცვლითო, და გაუსჯელად, სტახანოვიზმის თავში გაუფლელად, ჩვეულებრივი მუშაობით თურმე სტახანოვურად შეასრულეს სამუშაო...  
ჯერ კიდევ არ ეკარგება ჩვენს დიდ მწერალს ბოლშევიზმის სიმპატიები. ყველაფერი თურმე მასების ინერციის ბრალია, და სტალინი თურმე თავს იტეხს ამ ინერციის მოსასპობად. აქედან წარმოდგება «უდარნიკების» (დამკვრელების) გაჩენა, სტახანოვიზმი და აღდგენა ხელფასის უსწორმასწორობის. ყიდი ჯერ არ უფიქრდება თითქო იმას, მუდამ ასეთი ინერციული იყო იქაური ხალხი, თუ ეს ინერცია, რომლის მოსპობას ასე ცდილობს სტალინი, შედეგია ბოლშევიკური სისტემისა და მეთოდებისა. არ უფიქრდებათქო, მაგრამ რაც უფრო აკვირდება კავშირის ცხოვრებას, მით უფრო ირკვევა ამ ევროპიელისათვის, ბოლშევიკურ მსოფლმხედველობის დამღუპველობა.

... «სოხუმის მახლობლად ვათვლიერებთ სამაგალითო «კოლხოზს», განაგრძობს ყიდი; «მილიონერს» ეძახიან. ყველაფერზე ეწყობა კეთილდღეობა.. შარშან ამ «კოლხოზმა» დიდი მოგება ნახა, რომელმაც შეაძლებინა დიდი რაოდენობის მუშის ხელფასი 16 მ. 50 კ. აეყვანა. როგორ გამოიანგარიშეს ეს ციფრი? სწორედ ისე, როგორც გამოთვლილი იქნებოდა დივიდენდი, ეს «კოლხოზი» რომ სასოფლო კაპიტალისტური კამპანია ყოფილიყო. მაგრამ აქ აქციონერებს ადგილი არ აქვთ მთელ მოგებას კოლხოზელები იყოფენ და არც არას აძლევენ სახელმწიფოს (ვიფიქროთ!)»...  
აქ კიდევ ბ. ყიდი დარწმუნებულია, რომ სოხუმის «კოლხოზმა» თვითონ შექმნა თავისი კეთილდღეობა. ის ვერ მიხვდარა, რომ თუ რამე საქმე მოდელის, სამაგალითო სახეს ატარებს, არა იმიტომ, რომ ამა თუ იმ ჯგუფმა მოქალაქეებისა თავისის ენერჯით და გამრჯელობით შექმნეს ის საქმე, არამედ ბოლშევიკურ დიქტატორულ ხელისუფლების უგუნურობის ნაყოფია. უგუნურობის არა იმიტომ, რომ კარგად არის მოწყობილი, არამედ იმიტომ... დავაცალით ბ. ყიდს, და ის გვეტყვის, რად.

«ამ ბედნიერ კოლხოზის რამდენიმე ბინა დავათვლიერე. მინდა გამოვთქვა ის აზირობული და დამაღონებელი შთაბეჭდილება, რომელსაც იძლევიან ყველანი: სრულის უპიროვნობისა. ყველაში ერთი და იგივე საძაგელი ავეჯი, იგივე სტალინის პორტრეტი და სხვა არაფერი; არავითარი ნივთი, არაფერი, რაც პატრონს პირადად ჰქონდეს რისამე მოსაგონებლად. ყველა ბინა ერთიმეორეს გავს ისე, რომ თვით კოლხოზელები, რომელნიც აგრეთვე ერთი მეორეს გვანან, შემთხვევით სხვის ბინაში რომ შევიდნენ, ვერც კი შენიშნავენ ამას. რა თქმა უნდა ბედნიერება უფრო ადვილი განსახორციელებელია ასე!

ყოველნაირ სიამოვნებას კოლხოზელი სხვებთან ერთად, კოლექტიურად განიცდის, მეტყვიან. ოთახი დასაძინებელი ადგილია მხოლოდ. მისი ცხოვრების ყოველი ინტერესი ყრილობებში და კრებებშია. ამაზე უკეთესს რას ინატრებს ადამიანი. საყოველ-

თაო ბედნიერება მიუღწეველია, თუ ცალკე პირმა თავისი მე არ დაჰკარგა. ბედნიერები გსურთ იყოთ, იყავით მსგავსნი».

ამაზე უფრო მკაცრი მსჯავრი ბოლშევიზმის ძნელი წარმოსადგენია: ას სამოცი მილიონი არა პიროვნებათა, არამედ ასლები ნამდვილთან სწორები. ერთიმეორის მსგავსნი, მაგრამ ნამდვილი რომელია?

ამასაც დავგანახებებს ჩვენი ავტორი.

«... რუსეთის კავშირში, გვამცნებს, ის წინდაწინვე და ერთხელ და სამუდამოდ მიღებულია, რომ ყველაფრის შესახებ ერთი აზრის მეტი არ შეიძლება არსებობდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ იქაურებს (აქ რუსები იგულისხმებენ) გონება ისე აქვთ მოწყობილი, რომ ამნაირი დამსგავსება მეტად ეადვილებათ, ბუნებრივად და უგრძობლად ხდება. ნუ თუ ესენი არიან, რევოლიუცია რომ მოახდინეს? არა. ესენი მხოლოდ სარგებლობენ. ყოველ დილა «პრავდა» ასწავლის მათ, რა არის საჭირო იცოდნენ, იფიქრონ, ირწმუნონ. და მისგან ნაჩვენებ სახლურებიდან გამოსვლა ვერაფერ ხეირს დააყრის ადამიანს. ამნაირად, როდესაც ვისმე რუსს ელაპარაკებთ, ვითომც ყველასთან გელაპარაკნოთ. არა თუ ყოველი ცალკე პირი რაღაც განსაკუთრებულ ბძანებას ასრულებდეს, მაგრამ ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ, არავის არ შეეძლოს სხვებისაგან განსხვავებოდეს. ნუ დავაგიწყებთ, რომ გონების ასეთი დამუშავება ჩვილი ბავშობიდან იწყება... ამნაირად დამუშავებული რუსის გონება ურიგდება ბევრ ისეთ რასმე, რაც შენ, უცხოელო, გაკვირვებს... შენ გებრალებიან ისინი, ვინც კუდებში ჩამწყრივებულან მთელი საათობით, ისინი კი ასეთ ლოდინს ბუნებრივად სთვლიან. პური, ბოსტნეული, ხილი შენ ცუდი ვეჩვენება, მაგრამ სხვა რომ არ არის? ეს ქსოვილები, ეს ნივთები შენ უხვიროდ მიგაჩნია, მაგრამ არჩევანი რომ არ არის? მოშალე შედარების შესაძლებლობა, და შენც დაკმაყოფილდები იმით, რასაც გაძლევენ. მთავარი აქ ისაა, დაარწმუნო ხალხი, რომ სხვანა ყველა მათზე უბედურია. ამის მიღწევა შეიძლება სხვა ქვეყნებთან ყოველივე ურთიერთობის სრული მოშლით. ამ ზომის წყალობით რუსის მუშა თავის თავს სთვლის ბედნიერად, ბევრად უფრო ბედნიერად, უსაზღვროდ უფრო ბედნიერად, ვიდრე ფრანგი მუშა. მათი ბედნიერება დამყარებულია იმედზე, ნდობაზე და უმეცრებაზე...»

რუსეთის კავშირში დიდია განათლებისა და კულტურის მისწრაფება, ოღონდ ამ განათლების მიზანია ერთადერთი აზრი განამტკიცოს გონებაში: ბედნიერნი ვართ მით, რაც ხდება! ო, რუსეთის კავშირ! სალაში, ერთადერთო იმედო!.. კრიტიკის გრძნობა თითქმის არ არსებობს. ვიცი, რომ დიდად მიაქვთ თავი თავიანთ «თვითკრიტიკით». შორიდგან ძლიერ მომწონდა და ვფიქრობ, რომ კარგ შედეგებსაც მოიტანდა, რომ სერიოზულად და გულწრფელად ეხმარნათ. მაგრამ მალე დაერწმუნდი, რომ, დაბეჭდებებს, ან—წვირილმანებს გარეშე (სასადილოში შექამადი მოუხარზავი იყო, ან კლუბის სამკითხველო ცუდად იყო დაგვილიო), ეს კრიტიკა



მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ იკითხა: ეს თუ ის მისდევს «ხაზს» თუ არა. თვით ხაზის შესახებ არავინ კამათობს. თუ რასმე კამათობენ, მხოლოდ იმის გამოსარკვევად, ესა და ეს საქმე, ეს ქცევა, ეს თეორია ეთანხმება ხაზს თუ არა. და ვაი იმას, ვინც უფრო შორს წავა. გამოდმა კრიტიკა, რამდენიც გუნებოთ, გაღმა—აკრძალულია.

გონების ასეთ ვითარებისთანა დამღუპველი კულტურისათვის სხვა არაფერია!..

წარმოუდგენელია საბჭოთა მოქალაქის სრული უცოდინარობა იმისა, რაც სახლვარ-გარეთ ხდება. მეტიც, ის დაარწმუნეს, რომ უცხოეთში ყველაფერი გაცილებით უფრო ცუდად მიდის, ვიდრე კავშირში. ამ სიცრუეს ხელოვნურად იცავენ, რადგან საჭიროა, რომ ყველა, ისიც ვინც უკმაყოფილოა, დმერთს მადლობას სწირავდეს იმ რეჟიმისათვის, რომელიც უარეს უბედურობისაგან იფარავს.

ამან შექმნა გრძობა ჩინებულობის.»

ყიდს მოჰყავს მაგალითები იმისა, თუ რამდენად არიან დარწმუნებული კავშირის მოქალაქენი თავიანთ უაღრესობაში შედარებით დანარჩენ ქვეყნიერებასთან.

სტუდენტებისათვის სავალდებულოა უცხო ენების სწავლა, მაგრამ ძლიერ ცუდად ითვისებენო, ამბობს ყიდი. ერთ სტუდენტს ასე აუხსნია ეს მოვლენა: «ამ რამდენიმე წლის წინად გერმანიასა და ამერიკას კიდე შეეძლოთ ზოგი რამ ესწავლებინათ ჩვენთვის. ეხლა კი უცხოეთი ვეღარას გვასწავლის. მაშ რაღაში გვჭირია უცხო ენები?» როდესაც განცვიფრება შეგვატყო, სტუდენტმა დაუმატა: «ჩვენ გვესმის, რომ ასეთი მსჯელობა შემცდარია; უცხო ენა მაინც საჭიროა, რადგან ჩვენ თუ აღარა გვაქვს შესაძენი, ის სხვების გასანათლებლად მაინც არის გამოსაყენებელი».

მეორე ადგილას სკოლის მოწაფენი იჭვიანად ილიმებიან იმის გაგონებაზე, რომ პარიზშიაც არის მეტრო, ხოლო ერთ მუშას უკითხავს ყიდისათვის, არსებობს თუ არა სკოლები საფრანგეთშიო. იქ დამსწრე მეორე მუშას შეუნიშნავს, სკოლები კი აქვთო, ოღონდ სარწმუნო წყაროდან ვიცით, ბავშვებს სცემენო. მუშები ხომ უსაცოდანვეს მდგომარეობაში იმყოფებიანო, და ყველა ეს იმიტომ, რომ ჩვენ არ მოგვიხდენია ჯერ რევოლიუცია.

მათი წარმოდგენით, საბჭოთა კავშირის გარეშე მთელი ქვეყნიერება ბნელით არის მოცულიო, და ასკვნის ყიდი.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი ყიდი დიდი მოწინააღმდეგეა ბურჟუაზიულ წყობილებებისა და მთელი მისი კრიტიკა მიქცეულია საბჭოთა კავშირის გაბურჟუაზებისაკენ და მის ტერორისტულ მეთოდებისაკენ. «გშიშობ, რომ მალე აღსდგება ახალი მუშური ბურჟუაზია, კმაყოფილი და, მამასადამე, კონსერვატიული. ყველგან ვხედავ მის მომასწავებელნიშნებს. ბურჟუაზული ინსტინქტები, რომლებსაც მახლობელის არავითარი დარდი არ აქვს და პირად გამორჩენასა და ამა სოფლის სიამოვნებას ფიქრობს, ადამიანთა გულის სიღრმეში ბუდობენ, მიუხედავად ყოველივე რევოლიუციისა (რადგან

ადამიანის განახლება არ ხდება მხოლოდ გარეგნად). ოჯახის, მემკვიდრეობის უფლების აღდგენით, იხდება ფუფუნების და კერძო მფლობელობის სურვილი და გემო. ეს გრძობები ცუდად ეწყობა ამხანაგობას, ქონების განაირებას და კომუნისტურ ცხოვრებას. უკვე ჩნდებიან თუ კლასები არა, ახალი საზოგადოებრივი ფენები, ერთნაირი არისტოკრატია, ხოლო შემდეგ თაობაში ის იქცევა ფულის არისტოკრატიადა».

ამ ტირადას ყიდი აბოლოვებს ასეთის დასკვნით: «ის სულსკვეთება, რომელსაც დღეს «კონტრ-რევოლუციონერად» ნათლავენ, სწორედ ის არის ნამდვილი რევოლუციონერი, რომელმაც ნესტარი დაჰკრა ცარიზმის დაჩირქიანებულ ძველ წყობილებას... რალა საჭიროა სიტყვების თამაში, სჯობს ვაღიაროთ, რომ სარევოლუციო სულისკვეთება აღარ არის დროული, არც კრიტიკული. მორჩილება, არსებულის მიღება, ხაზის შეთვისება, აი, რას მლითხვვენ დღეს, ხოლო მორჩილებასაც გულწრფელს, გატაცებულს. მეორეს მხრით, უმცირესს წინამდევობას, კრიტიკის მკრთალს ჩრთავს უსამინდელის სასჯელი მოსდევს და უმაღვე აღიზობენ. და ვეუყობ, რომ დღეს რომელსამე ქვეყანაში გონება უფრო მოდრეკილი, უფრო დამონებული, უფრო დაშინებული და ნაკლებ თავისუფალი იყოს»...

არ შეგვიძლიან დასასრულს არ მოვიყვანოთ ყიდის მეტად ღრმა აზრი მწერლის დანიშნულებაზე და ამ დანიშნულების გაუკუღმართებაზე რუსეთში.

... «მე მგონია, ამბობს ყიდი, რომ მწერლის ღირსება გადამხულია იმ რევოლუციურ ძალაზე, რომელიც მას ასულდგმულებს, ან კიდე უკეთ (ვინაიდან არც იმდენად შეშლილი ვარ, რომ არტისტულ ღირსებას მხოლოდ მემარცხენე მწერლებში ვპოულობდე), მის ოპოზიციურ ძალაზე».

იციტ, მითხრა კავშირის ერთმა მოქალაქემ, ჩვენში მწერალი უპირველესად ყოვლისა უნდა ხაზს დაემორჩილოს. ჩვენ გვსურს ახალი ხელოვნება შევქმნათ, ჩვენისთანა დიდი ხალხის ღირსი. ხელოვნება ხალხური უნდა იქნეს, ან სულ ნუ იქნება.

— მასე ხომ რალაც ერთსახიანობას ჰქმნით, მივუგე მე; და საუკეთესონი, რომელნიც არ მოინდომებენ ხელოვნების წარყვანას ან არ დაგმობილდებიან, იმათ თქვენ ბურთს ჩაჩრით პირში.— ეგ ბურჟუაზული მსჯელობააო.

და მართლაც, საბჭოთა კავშირში რაც უნდა მშვენიერი ნაწარმოები იყოს, თუ ხაზს არ მისდევს, დევნილია. სილამაზე, მშვენიერება—ბურჟუაზული ღირსებაა.

ჩემს სიყმაწვილეში, განაგრძო იმავე რუსმაო, ზოგ წიგნის წაკითხვას ვვიჩვედნენ, ზოგს არა, და, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ უკანასკნელთ ვეტანებოდით. დღეს ხდება წინამდევი, ახალი თაობა მხოლოდ იმას კითხულობს, რასაც ურჩევენ, სხვას არც კი უყურებს».

გონება, რომელიც ნაბძანევს ასრულებს, იმას მაინც გრძობს, რომ თავისუფალი არ არის. მაგრამ იმდენად გადამუშავებული თუ არის, რომ ბრძანებასაც აღარ ელის და ისე ასრულებს მას, ასეთ გო-



ნებას თავის მონურ მდგომარეობის შეგნებაც კი დაუკარგავს!..»

ბ-ნი უიდი წინამდევია ბურჟუაზულ წესწყობი-  
ლების, მას დღევანდელ კაცობრიობის გადახალი-  
სება ენუჯვის; ასეთ გადახალისების დასაწყისად წა-  
რმოიდგინა ბოლშევიკური რევოლუტია. მას სცა  
თავყანი და, როდესაც ახლო გაიცნო, თავის თვალთ  
ნახა იქაური სამოთხე, არ შეშინდა და ხმაძალა წა-  
მოიძახა: იქ სადაც აზრი და გონება დამონებულია  
და ნიჭი და შემოქმედება ხუნდებ დადებული, იქ  
სიკვდილია და ხრწნა.

დარბაისელი.

საქართველოს მემოზგაზები

ჩამბერლენი და მადისონი

ეს ორი გამოჩენილი ინგლისელი ამ დღეებში გა-  
რდაიცივალა ლონდონში. მათ შორის არის დიდი გა-  
ნსხვევა: პირველი, შვილი სახელგანთქმულ ჟოზეფ  
ჩამბერლენისა, რომელმაც 50 წ. სახელმწიფო მოღვა-  
წეობით წაუშლელი კვალი დასტოვა ინგლისის იმ-  
პერიის ისტორიაში, არ იყო მამისებურ ბუმბერაზ  
ნიჭით დაჯილდოებული. მაგრამ იგი იყო საკმარის-  
სად ჰუკუანი და ნიჭიერი იმისთვის, რომ თავისი  
ლოიალობით და ტაქტიტ პირველ ხარისხვან სა-  
ხელმწიფო მოღვაწედ გამხდარიყო და მოეხვეჭა სა-  
ერთო ნდობა და პატივისცემა. მეორე, თუმცა შე-  
დარებით პატარა მასტაბის კაცი იყო, ჯერ კიდევ  
50 წ. წინედ თავს იჩენს მშვიდობიანობის დაცვისა-  
თვის დაუღალავ მუშაობით, საზოგადოებების შედ-  
გენით იმის საპროპაგანდოდ, რომ სახელმწიფოთა  
შორის კონფლიქტები სამედიაციაციო სასამართლო  
საშუალებით მოგვარდეს და ასე ერთა შორის ომი  
მოისპოს, მას აქეთ ამ იდეალის განხორციელებისა-  
თვის მოუსვენრად მუშაობას და კვდება მის სამ-  
სახურში 80 წ. მოხუცი. ხოლო ჩამბერლენსა და მა-  
დისონს შორის დიდი რამ საერთოცაა: ორივე ბუ-  
ნებით კეთილშობლი, ლოიალური, გრძნობიერი,  
ინგლისელ ჯენტლემენის ნამდვილი ტიპი, სამართ-  
ლიანობის მოყვარე და ორივე ქართველი ერის მე-  
გობრები იყვნენ.

მადისონს პირველად 1926 წ. შეეხვდი მშვიდო-  
ბიანობის მსოფლიო კონგრესზე ენევაში. მისი მე-  
გობრობაც აქედან იწყება. აქ მან მხარი დაუჭირა  
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის  
წარდგენილ რეზოლუტციას. ეს მეგობრობა მან 1934წ.  
ლოკარნოს კონგრესზეც გამოიჩინა, ხოლო გასული  
წლის ივნისში კარდიფის კონგრესზე სწორედ მის  
თავმჯდომარეობის დროს იქმნა განხილული საქარ-  
თველოს სასარგებლოდ წარდგენილი რეზოლუტია.  
მადისონმა, როგორც თავმჯდომარემ, ძალიან მსუ-  
რვალედ დაიცვა ეს რეზოლუტია, რომელსაც კონ-  
გრესმა ერთიანად ხმა მისცა.

სერ აუსტენ ჩამბერლენი თემთა პალატაში დე-  
პუტატად გავიდა სულ ახალგაზდა 1892 წ. აქ მან თა-  
ვი ისახელა დიდი სიტყვის წარმოთქმით, რომლის

გამოგლასტონმა ჟოზეფ ჩამბერლენს მიულოცა და  
უთხრა: «ძალიან სასიამოვნო უნდა იყოს მამისათვის  
ასეთი სიტყვის მოსმენა». უკვე 1895 წ. ახალგაზდა  
ჩამბერლენი მთავრობის წევრად ხდება, რის შემდეგ  
იგი ხშირად ზღვათა, ინდოეთის საქმეთა, ფოსტის,  
შინაგან, ფინანსთა და სხ. მინისტრია. და როცა 1923  
წელს ბონარ ლოუმ «პრემიერობას» თავი გაანება,  
რიგი ჩამბერლენზე მიდგა. მაგრამ ამას ეს თანამდე-  
ბობა არ უყვარდა და ის თავის მეგობარ ბალდვინს  
დაუთმო. 1925 წ. 1929 წლ. ის საგარეო მინისტრია.  
მას შემდეგ მთავრობაში შესვლა არ ისურვა. პარ-  
ლამენტში კი ყველაზე უფრო გავლენიან პირად ით-  
ვლებოდა.

სერ აუსტენ ჩამბერლენთან შეხვედრა ფრიად  
განსაკუთრებულ პირობებში მომხდამაისში 1925 წ.  
როცა ის პირველად მოვიდა ენევაში როგორც სა-  
გარეო მინისტრი დიდ ბრიტანეთისა. იგი ბრინჯან  
ერთად გერმანიის ერთა ლიგაში შემოყვანას ამზა-  
დებდა და მისი მოსვლა მაშინ დიდ ამბვად ითვლე-  
ბოდა. შეუძლებელია აქ ამ ჩემი შეხვედრის სრული  
სურათის აღწერა, რომელსაც სამასამდე დიპლომა-  
ტი და ჟურნალისტი გამოტყუებით უყურებდა და  
ვერა გაეგოთ რა. ხოლო აუცილებელია ჩამბერლენ-  
ის საქართველოსადმი მეგობრული განწყობილე-  
ბის გასაგებად ორიოდ მომენტის მოტანა. წარ-  
დგენა ჩამბერლენის წინაშე ამ სალამოს ჩემით დაი-  
წყო და... ჩემითვე გათავდა, მიუხედავად იმისა, რომ  
რამდენიმე მინისტრი მოუთმენლად მოელოდა მისი  
გაცნობის და ხელის ჩამორთმევის პატივს. ჩამბერ-  
ლენმა ხელის ჩამორთმევისთანავე მიმითია ჩემს,  
განგებ, უკან მდგარ ჩვენს საერთო მეგობარ (ისინი  
ერთიმეორეს დაუმეგობრდენ რბოლი წლის წინად)  
საყოველთაოდ ცნობილ ბატანიკოსს ჰანრი კორე-  
ვონზე და მითხრა: «ეს თქვენ ძალიან დიდი მეგობა-  
რი გყავთო». მე ვუპასუხე: «დიახ, მაგრამ მე მსურს  
ყველა მისი მეგობარი ჩემი ქვეყნის მეგობარი გა-  
ხდეს».

ამ პასუხით დაინტერესება დაეტყო. სხვების  
მიღებას აღარ ჩქარობდა. დრო მოვიმარჯვე და გა-  
დაუკარი: «თქვენთან სალაპარაკო მაქვს, გთხოვთ  
დამინიშნოთ აუდენცია». — ერთი დღე დამჩვენია. ეს  
სავსებით მოკავებულია. გთხოვთ ახლა მითხრათ,  
რაც სათქმელი გაქვთ». — «უკაცრავად, აქ არც ადგი-  
ლია ამისთვის და არც დრო. მაგრამ სულ არაობას  
ეს მიჩვენია. ნებას გვაძლევთ და არ შემოიძლია არ  
ვისარგებლო ეს შემთხვევა». — «მეც გგონია, ასე  
აჯობებს. დაიწყეთ». ამასობაში ჩვენ დარბაზის ცე-  
ნტრალურ ალავას შევჩერდით. დიპლომატებმა და  
ჟურნალისტებმა უკან დაიხიეს, შორე-ახლო რგო-  
ლივით შემოგვერტყენ და ასე ჩვენ ორი ცირკში მო-  
ჭირდავებივით დარბაზის შუაგულში მოგვხვდით. ჩამ-  
ბერლენი გულდასმით მისმენდა. მაწყვეტინებდა  
მხოლოდ რამდენიმე სიტყვიტ: «მესმის, სულით და  
გულით თქვენთან ვარო». ლაპარაკმა გამიტაცა. და-  
მაიწყდა, რომ მარტო არ ვიყავით. არა მესმოდა რა  
გარდა თვით ჩემი და მისი სიტყვებისა. არ რას სვე-  
დავდი ვარდა ჩემს წინაშე მდგარ ჩამბერლენისა,  
რომელიც წამდაუწუმ ფერს იცვლიდა და ძალზედ

ლელავდა. შემდეგ, როცა შევჩერდი და ჩამბერლენი ზოგ კითხვაზე პასუხს მაძლევდა, შევამჩნიე, რომ ეს მდელვარება ყველას მოდებოდა, რასაკვირველია, სულ სხვა მოტივით. ინგლისის ელჩი და ლიგის მდივანი ერთი დროუმინი ერთი მეორეს იწვევდნენ ამ სურათის შესაცვლელად, ჩამბერლენს ანიშნებდნენ მისგან ნების მისაღებად. ეს კი მათ ნებას არ აძლევდა. ხოლო როცა მან სხვათა შორის მითხრა «არაფერი პასუხისგების ალება თავის თავზე არ შემძლია თვით თქვენი ერის წინაშე», შეუტრაცოფა ვიგრძენი, შევსძახე: «როგორ გეკადრებდა ეს, ქართველი ერის წინაშე პასუხის მგებელი მხოლოდ მისი წარმომადგენლებია და არა თქვენ. აქ რაღაც გაუგებრობაა. თქვენგან მინდა გავიგო, არის საქართველო დიდ ბრიტანეთის გეოგრაფიულ ქარტაზე თუ არა? რაიმე ინტერვენციის და ავანტურის მაძებარი მე არ ვარ. თქვენგან რაც მინდა და ძვირფასია ჩემი ერისათვის, ეს თქვენი თანაგრძობა». მან ბოდიში მოიხადა და მითხრა: «ეს ჩემი თანაგრძობა გაქვთ სრული. ვიმეორებთ, სულით და გულით თქვენთან ვარო». ამ სიტყვებს რამოდენიმედ სკეპტიკურად ვუყურებდი მაგრამ მათ სწორად ჩავუფიქრებიავარ. მიძებნია პასუხი კითხვაზე თუ რამდენად გულწრფელად იყო ეს სიტყვები თქმული?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა პ. კორეფანის სტატია, რომელიც მან «ურ. დე უენეე»-ში თავის მეგობარ ჩამბერლენის გარდაცვალების გამო დასწერა და რომელსაც ასე ათავეებს: «როგორც წევრს საქართველოს დამხმარე კომიტეტისა მონდობილი მქონდა დამეცვა მის (ჩამბერლენის) წინაშე ამ უბედურ ქვეყნის საქმე, რომელიც საშინელ ტერორს და წამებას განიცდის მოსკოვის დათვისაგან. მე ვისარგებლე მის ოჯახში გატარებულ შაბათ კვირა ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად. (ჩემო მეგობარო, მითხრა მან, ნუ ვლაპარაკობთ ამ სამწუხარო საგანზე. მე რწმუნეთ: ინგლისს რომ შეეძლოს, ის არ უღალატებდა თავის მისიას—სუსტების დაცვას. მაგრამ მხოლოდ ფაქტი ინგლისის ჩარევისა თვით საქართველოსათვის ძალიან ცუდი იქნებოდა. მეტის თქმა მე არ შემიძლია, თუმცა სავსებით ვიზიარებ თქვენს გრძობებს ამ საგანზე. მე კარგად ვიცი, რასაც გამბობ და გიცხადებთ, რომ როგორც კი რამის გაკეთება შეევეძლება საქართველოსათვის, ზიანის მიუყენებლად, ჩვენ უსათუოდ ავასრულებთ ჩვენს მოვალეობას».

ეს უსათუოდ მოწმობს ჩამბერლენის გულწრფელ მეგობრობას, რაც 12 წლის წინედ დაიწყო და რაც არ შეიძლებოდა უეჭველად ჩათვლილიყო მაშინ. მაგრამ ცხადია ისიც, რომ მისი მიდგომა საკითხისადმი შემეტყვარი იყო. ამ შეცდომას ბევრი ჩვენი მეგობარი იზიარებს, რასაც ჩვენი საქმისათვის დიდი ზიანი მოაქვს.

რასი გამოიხატება ეს შეცდომა? როგორ შეიძლება მის წინამდებ ბრძოლა? ეს მთელი პრობლემაა, რომლის შესწავლა უზენაესად საჭიროა.

ნ. შავიშვილი.

ქენევა, მარტი 1937 წ.

**რას სწამენ სომხური ბაზმთები**

ფამისტურ ახალგაზდობის ხმა

«ახვ» (სომხის ნაციონალისტ-ფამისტების ორგანო), № 6: «ამიერ კავკასიის ფედერაციის დაშლამა და სამ ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაყოფამ ზოგიერთ სომხში კმაყოფილება გამოიწვია. ეს სომხები ფიქრობენ, რომ საბჭოთა ნასუფრალიდან თუ მცირე ეროვთ სომხებს, ეს არის ბრალი ქართველებისა და აზერბაიჯანელების, რომელთაც მაღალი თანამდებობანი უკავიათ ამ-კავკასიის ფედერაციაში და რომელნიც შეადგენენ ანტისომხურ ფრონტს. მაგრამ ჩვენ სხვანაირად ვუდგებით საგანს. ჩვენის შეხედულობით ბერია ისეთივე წარმომადგენელია ქართველების, როგორც იყო ხანჯიანი—სომხების; ორივე რუსეთის მოყიდულია. შეიძლება პირველს ლაქია უწოდოთ, მეორეს—მონა, ხოლო საერთოდ ერთი მეორედ ღირს. თუ სომხეთს ნაკლები ეროვ, ვიდრე საქართველოს, არა იმიტომ, რომ ეს ბერიას უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა მოსკოვის ინტერერესები. და თუ ბერიას ეგონა, რომ ინდუსტრიალიზაცია სასარგებლოა საქართველოსთვის და ხანჯიანს შურდა ეს ფარულად, ჩვენ ჩვენის მხრით კმაყოფილნი ვართ, რომ სომხეთს ნაკლებად ახლებენ ხელს და არ ავსებენ «საერთოსაკავშირო ღირებულების გიგანტებით»—ეს დაამძიმებდა მომავალ თავისუფალ სომხეთის ბალანს და მას გაუჭირდებოდა ამის რაციონალური ექსპლუატაცია და თან ქალაქების გაზრდა სოფლის ხარჯზე არაა სასურველი, რადგან სოფელია ნამდვილი შემნახველი ეროვნულ სულის ძირების». გახეთი სწუხს ფედერაციის დაშლის გამო, რადგან იგი ასე იყო თუ ისე ემსახურებოდა კავკასიელ ერთობის განმტკიცებას. მისთვის უდავოა ეს ერთობა: «ჩვენს ფსიქოლოგიას, ჩვენი ცხოვრების და აზროვნების სახეს, მიუხედავად ცალკე ერების ნაციონალურ თავისებურობისა, ბევრი რამ აქვს საერთო და ეს ჩვენ (კავკასიელებს) გვაკავშირებს და გამოგვიყოფს რუსეთისაგან». შემდეგ გახეთი ეხება რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკას და კერძოდ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას და დასკვნის: «ძველი გეგმის თანახმად, თურქეთი მთელი ამ-კავკასიის დაკავებით იცავდა მას სხვათა ჯარების შემოსევისაგან. დღეს ის იცავს ამიერ-კავკასიის სრუტეების დაკეტვით. რითი უნდა გადაუხადოს სამაგიერო რუსეთმა? ყოველი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს მოხდება სომხეთის ხარჯზე, რომელიც რუსეთის თავდაცვისთვის ინტერესს არ წარმოადგენს, მაგრამ რომლის მოსაზრობა დიდი მნიშვნელობა აქვს თურქეთისთვის, როგორც შეტევის (პანთურქიზმის) ისე თავდაცვის თვალსაზრისით (ზურგის უზრუნველყოფა მედიტერანულ საფრთხისაგან, რომელსაც ძირითადი ღირებულება აქვს თურქეთისთვის, თუ ძირითადად არ შეიცვალა ჩვენი პოლიტიკა მის მიმართ). შეიძლება ახლა ნათელი ეფინება ამ-კავკასიის ფედერაციის დაშლის მთავარ მიზეზს. წინანდელი გეგმით მთელი ა-კავკასია უნდა გადაცემოდნა თურქეთს—საქართველო იყო მთლიანი ამ-კავკასიის და-

ცვა. ახლა კი შესაძლებელია მხოლოდ ერთი ნაწილის გადაცემა, აი ამან გამოიწვია საქიროება ამ-კავკასიის სხეულის დაშლისა».

გაზეთი აღნიშნავს საზღვრების საკითხს: «ბევრი სომეხი ნაწყენია, რომ ზოგი სომხური პროვინცია მიაკუთვნეს მეზობელ რესპუბლიკებს. ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევთ. ვიდრე სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ვასალური რესპუბლიკებია, სრულიად მეორე ხარისხისგანი მნიშვნელობა აქვს მათ საზღვრებს. განა რაიმე რეალური ინტირესი აქვს ჩვენთვის სომხეთის რომელიმე ნაწილის რუსულ გუბერნიასზე მიკუთვნებას? თუ ხვალ რუსეთი, განთავისუფლებული მოწოლილ საფრთხისაგან და გამაგრებული მატერიალურად და მორალურად, დაიწყებს აგრესიულ პოლიტიკას სამხრეთით, იგი (წინამდებე მის დღევანდელ ანტისომხურ პოლიტიკისა) ქარხნებსაც ააგებს ჩვენში და შეუერთებს სომხეთს ყარაბახს, ნახჭევანს და შეიძლება ტფილისსაც, დაპირდება სხვა მიწებსაც; და არა ერთი და ორი იქნება სომეხი, რომელთაც ეს გაანარებს. და თუ მერე შემთხვევითი სტრატეგიული უკან დახევის დროს მთლად არ ამოწყდებიან სომხის უკანასკნელი ნაშთები, მხოლოდ იმიტომ რომ ისინი უკვე გარუსებულნი იქნებიან».

იგივე გაზეთი მეორე ნუმერში (1936 წ. 7 დეკემ.) ეკამათება «არაჩს», რომელიც სომხეთის უბედურებას აბრალებს «ქართველს ბერიას» და სწერს: «სასაცილოა, ქართველი ვუწოდოთ ბერიას. განა ქართველს შეუძლია ჩირქი მოსცხოს საერთოდ კავკასიური და კერძოდ ქართული ზნეობის პრინციპებს (ყველა კავკასიელის გამაერთიანებელი ერთგულობის, მეგობრობის და სტუმართმოყვარეობის გრძობებს)?» შემდეგ გაზეთი არსებითად გადადის კავკასიის ერთობის საკითხზე და ასეთს დასკვნებს აკეთებს: «წარმოუდგენელია თავისუფალი სომხეთი, როგორც სინამდვილე, გარეშე დამოუკიდებელ კავკასიისა. ვერავითარი სომხური პოლიტიკა, რომელსაც სწადია ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება, ვერ გაიმარჯვებს, თუ ჩვენი პოლიტიკური მეთაურები არ შექმნიან მტკიცე მთლიან ფრონტს საქართველოსა, აზერბაიჯანსა და მთასთან, რომელნიც ასევე იბრძვიან თავის დამოუკიდებლობისათვის. ისტორიამაც ეს გვიჩვენა, გეოგრაფიაც ამას გვიმტკიცებს და არსებული პოლიტიკური ძალებიც ამას გვასწავლიან. ამიტომ ყოველი სომეხი, ქართველი, აზერბაიჯანელი, თუ მთიელი ნაციონალისტი, რომელსაც ესმის სინამდვილე, უნდა იმპერატივულად ცდილობდეს საერთო ფრონტის შექმნას, არა რაიმე დროებითი ნაბიჯისთვის, არამედ მკვიდრის, ხანგრძლივის და ორგანიულის. გულუბრყვილობა და უაზრობაა ახლა დავა ახალქალაქის თუ ყარაბახის შესახებ. ყველა ეს «სადავო» ან «უდავო» მიწები დღეს მტრის ხელშია. ჯერ ეს უნდა განვათავისუფლოთ და მერე სახელმწიფო ხელმძღვანელები, რომელთა მიზანი იქნება კავკასიელთა თანხმობის გამაგრება, გადაჭრით დაეხს თანხმად სამართლიანობისა და მიზანშეწონილობისა. სტატუს ქვოს ნიადაგზე და ურთიერთის დახმარების საქიროების შეგნებით

თავიანთ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის კავკასიის ერები უნდა შეუდგენ ყოვლად გულწრფელ, პატიოსნურ, ნამდვილ პოლიტიკურ და დიპლომატიურ მუშაობას, გარეშე ყოველ ბრიყვულ ეშმაკობისა და ორპირობისა».

გაზეთი ამასთანავე პირდაპირ სვამს კავკასიათურქეთის ურთიერთობის საკითხს და ამბობს, რომ თურქეთს უნდა მოეუბრებოდეთ: «თურქეთს შეუძლია იქნეს ჩვენი მეგობარი—თუ 1) შეიქმნება ერთი, ღონიერი და ნამდვილილად დამოუკიდებელი კავკასია, და 2) კავკასიელთა ერთობა იქნება მომხრე მეგობრული პაქტის დადებისა თურქეთთან. ამ მეორე პირობის მიღება მეტად დიდი მსხვერპლია ჩვენთვის, მაგრამ ეს აუცილებლად საქიროა. ეს გამოხატავს სწორედ უაღრესად ჩვენი პოლიტიკური აზრის რეალისტურ პატრიოტიზმს. ეს ალღო აკლდათ ჩვენ მეთაურებს და ამიტომ დიდად დაისაჯა ჩვენი ერი... თუ ჩვენ არ მივიღებთ მეორე დებულებას, არა თუ თურქეთი გახდება ჩვენი აშკარა მტერი, ჩვენ დავამსხვრევთ კავკასიის ერთობას, რაიც მომაკვდინებელია. ხოლო თუ ამ პირობას მივიღებთ, ჩვენ უარს ვამბობთ იმ მიწებზე, რომელსაც არ ვფლობთ, სადაც სომხები დღეს აღარ ცხოვრობენ, რომლის დაუფლება არ შეგვიძლია დღეს და კიდევ უარესი—რომელსაც ვერც შევინარჩუნებთ. ეს მეთის მეტად დიდი მსხვერპლია ჩვენგან. ხოლო ეს მსხვერპლი მოგვაკვს შეგნებულად, რათა გამოვისყიდოთ ჩვენი წინაპრების ცოდვები და მით ავცდეთ ახალ შეცდომებს, რომელთათვის პასუხის გება მოუხდებათ მომავალ თაობებს.»

გაზეთი დარწმუნებულია, რომ გაერთიანებული ძლიერი კავკასია, რომელიც ყოველი ღონით დაცავს თავის დამოუკიდებლობას და ტერიტორიის მთლიანობას ყველას წინამდებე ვისგანაც არ უნდა მოელოდეს საფრთხეს, მოიპოვებს სრულს პატივისცემას თურქეთის, სპარსეთის და სხვებისა.

### პოლონური პრესა

ცნობილი ჟურნალისტი Alex-ი, პოლონურ სამხედრო გაზეთ «პოლსკა ზბრონა»-ს № 311-ში ათავსებს ვრცელ წერილს საბჭოების მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ.

იმ დაპყრობათა შორის—სწერს ბ-ნი Alex—რომელიც საბჭოებმა მოახდინეს 1918-1921 წლებში, ყველაზე უფრო დამანასიათებელია, მათი მოქმედების მეთოდების თვალსაზრისით, საქართველოს დაპყრობა. ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოების გადმოსროლილი ლოზუნგი «ერთა დამოუკიდებლობისა» და მოსკოვის თავისუფლად დადებული ხელშეკრულება ხელწოდებულია იმ მოწინააღმდეგეს მიმართ, რომელიც ძლიერი და კარგად შეიარაღებულია. საქართველო—საბჭოების დამოუკიდებულების ისტორიას პირდაპირ სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს. უძველეს ქართველ ერს, რომელმაც 1918 წელს 26 მაისს გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა, თითქმის პირველ დღეებიდანვე უხდება ბრძოლები



წარმოება როგორც წითელ არმიის, ისე კომუნისტურ დივერსიის წინააღმდეგ თავის ქვეყანაში. ქართული ჯარი იძულებულია იბრძოდეს სოხუმის რაიონისთვის. 1918 წელს იენისში კომუნისტები აწყობენ აჯანყებას დასავლეთ საქართველოში და დუშეთში. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, მსკოვი იწყებს როგორც სამხედრო, ისე დივერსიულ მოქმედებას. ყველა მათი ცდა უნაყოფო რჩება. ყოველგვან ქართველებს იმარჯვებენ. ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს საზღვრებიდან განდევნილია წითელი ჯარები, ამავ დროს ხდება ოსების აჯანყების ლიკვიდაცია, მოსკოვის ემისართა მიერ მოწყობილი.

ავტორი ენება საქართველოს და საბჭოებს შორის დადებულ ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ცალკე მუხლებს, საქართველოს იურიდიულ ცნობას 21 იანვარს 1921 წელს და დასძენს, რომ ერთიანი საბჭოს მართის სესიაზე საქართველო უნდა მიეღო ლიგას წევრად. მაგრამ 11-12 თებერვალს 1921 წელს საბჭოების რეგულარული ჯარის მე-11 არმიის წითელ ნაწილებმა საქართველოს საზღვრები გადალახეს. მიუხედავად გმირული თავდაცვისა ქართველები იძულებულნი შეიქნენ 25 თებერვალს ტფილისის ევაკუაცია მოეხდინათ. 18 მარტს კი საქართველოს ლეგალური მთავრობა საზღვარგარეთ გაიხიზნა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტფილისის ოკუპაციის დროს კომუნისტური პარტია საქართველოში იმ დროინდელი კომუნისტური პარტიის მდივნის ლომინაძის მოწმობით შესდგებოდა სულ 733 წევრისაგან, რომელთა შორის უმრავლესობა არაქართველობა იყო.

ყოველივე ამის მოგონება მეტად აქტუალურია დღევანდელ მომენტში, როცა მოსკოვი გამოდის დამცველად ლეგალურ, დემოკრატიულ მთავრობების ევროპაში და როცა კომუნისტები დასავლეთის სოციალისტურ პარტიებს «თანამშრომლობას» თავს ახვევენ. საქართველოს მაგალითი იმის დამამტკიცებელია, რომ მოსკოვი იცავს საერთაშორისო ხელშეკრულებებს მის მიერ დადებულს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ანგარიშს უწევს ამა თუ იმ კონტრაგენტის ძალას.

დემოკრატიული საქართველო ენდა 7 მაისს 1920 წელს დადებულ ტრაქტატს, რომლითაც ის ცნობილი იქნა, რომ ათი თვის შემდეგ მოლაპატურთავე დასხმით მოსკოვს დაეპყრო ეს საუცხოვო და გმირული ქვეყანა.

ეს ისტორია დასავლეთმა დავიწყებას მისცა, მაგრამ ყოველივე ის, რაც საქართველოში მოხდა, არ ავიწყდებათ საბჭოების უშუალო მეზობლებს, რომელთაც ყოველგვარ მანიფრის დროს, როცა მოსკოვი ვითომდა მშვიდობიანობისთვის იბრძვის, შეუძლიათ უპასუხონ შეკითხვით: «რას იტყვიან საქართველოზე?»

აღმოსავლეთიდან უზრუნველყოფილი ვიქნებით იმ დრომდე, სანამ გვეყოლება კარგი ჯარი და სანამ ენერგიულად შევებრძობებით ყველაფერს, რასაც ჩვენი დასუსტება შეუძლია.

**იოსებ დადიანი**

გარდაიცვალა და უცხო მიწას მივადარეთ იოსებ იულონისძე დადიანი. სიკვდილმა გამჟღავნა ის, რაც ბევრისთვის დაფარული იყო განსვენებულის სიცოცხლეში. უთუოდ ფრიად იშვიათი მოვლენაა, რომ ადამიანი ასეთი სიყვარულითა და პატივისცემით იყოს შემოსილი სხვადასხვა სოციალურად და პოლიტიკურად ერთმანეთზე დიდად დაშორებულს წრეებში. იოსებ დადიანის სიკვდილმა ერთსულთვანი მწუხარება გამოიწვია ქართველ ემიგრაციაში და ასეთივე გამოძახილი ექნება მას ჩვენს სამშობლოში, სადაც ჯერ კიდევ მრავლად მოიპოება განსვენებულის მოღვაწეობის მომსწრე, და მისი კეთილი საქმისა და უაღრესად კეთილშობილ ბუნებას გაცნობილი.

იოსებ დადიანის წინაშე თავიდანვე გახსნილი იყო დიდი იმპერიის უმაღლეს მწვერვალებისაკენ მიმავალი გზები, მაგრამ მან ზურგი უქცია მას და საინჟინერო განათლების დასრულებისთანავე გამოეშურა თავის სამშობლოში, და ამის შემდეგ, თავის ცხოვრების უკანასკნელს დღემდე, ის ერთი წუთითაც არ განშორებულა თავის სამშობლოს ჭირსა და ღწინს.

მართალია, წელთა მანძილზე განსვენებული თავის სამშობლოს გარეშე ცხოვრობდა, საქართველოს მეზობლად, ბაქოში, მაგრამ იგი აქაც აკეთებდა ქართულ საქმეს, პატრიოტულ საქმეს. იოსებ დადიანი იყო მუდმივი ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი ბაქოს ქართველობის ყოველი გამოწყობის, სკოლა იგი, თეატრი, ქველმოქმედება თუ სუსტ ქართულ ეკონომიკის გამძლიერებელი და წინ წამწევი სამრეწველო წარმოება. მაგრამ მართლ ქართული საზოგადოებრივ საქმეებით არ ამოწურულა იოსებ დადიანის მოღვაწეობა ბაქოში. იოსებ დადიანი იყო აქ ქართველი ერის და ყველა მისი საუკეთესო თვისებების ბრწყინვალე წარმომადგენელი და გამომსახველი ჩვენი მეზობლებისა და უცხოელ წრეთა წინაშე. იოსებ დადიანმა და მისმა ოჯახმა მრავალი კარგი მეგობარი შესძინა საქართველოს ამ წრეებში. ის უდიდესი ავტორიტეტი, ნდობა და პატივისცემა, რომელიც დაიმსახურა იოსებ დადიანმა ამ წრეებში, ამაღლებდა ქართულს სახელს და ძალას სძენდა ყოველივე ქართულს საქმესა და მოქმედებას. ამავე დროს არც ერთი ქართული საქმე არ დაწყებულა თვით საქართველოს მიწა-წყალზე ათეულ წელთა მანძილზე, რომ მნიშვნელოვანი წილი არ ჰქონოდა მასში იოსებ დადიანის თაოსნობას, მოქმედებასა

და ეკონომიურს დახმარებას. ქართული ეკლესია, ქართული სკოლა, ქართული გამომცემლობა, არქეოლოგიური კვლევები, მუზეუმები და სხ. და სხ. ქართული მრეწველობის საქმენი, სოფლის და ქალაქის სუსტ მწარმოებელ ძალთა კავშირების შექმნა, სავაჭრო-სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო პალატები, ქართული ბანკები, აი ის ასპარეზი, რომელზედაც იღვწოდა განსვენებული ორმოცი წლის სიგრძეხე და იღვწოდა იშვიათის უანგარობით. უხმაუროდ და ერთგვარი ქალწულებრივი მორცხვობითაც. ახალგაზდობიდანვე დიდი ქონების პატრონმა და უდიდეს სამრეწველო საქმეების მონაწილემ არამც თუ არ გაზარდა თავის ქონება, არამედ დიდადაც შეამცირა ათეულ წელთა მანძილზე, ვინაიდან მთელი მისი მოღვაწეობა და თვით სამრეწველო საქმიანობა არ იყო თავის ბუნებით კერძო საქმე და კერძო ინტერესის მსახური, არამედ მოღვაწეობა საზოგადოებრივი, ეროვნული, რომელიც მუდამ მოითხოვს მსხვერპლსა და ზვარაკს.

იშვიათი მოვლენაა პიროვნება ეგზომ მთლიანი, მტკიცედ ჩამოქნილი და ჩამოქანდაკებული. მახედ მცირედი დალიც ვერ დააჩინა ვერც სიმდიდრემ და კეთილდღეობამ და ვერც უკანასკნელი თუთხმეტი წლის განაცადმა გასაქირმა და სიმწარემ. იოსებ დადიანი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მუდამ იყო ერთი და იგივე, კეთილი, მშვიდი და წყნარი, ყველასთვის გულშემატკივარი და თანამგრძნობი, მომთმენი და თავმდაბალი, ამასთანავე მტკიცე და ურყევი სამშობლო კეთილდღეობისათვის მომქმედ ყველა წრეებთან თანხმობის და ერთობის დამცველი.

ასეთი იყო განსვენებულის თვისებები კერძო თუ საზოგადოებრივსა და, თვით პოლიტიკურს ასპარეზზე. ი. დადიანი თავიდანვე მიემხრო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომლის ხელმძღვანელ ორგანოების წევრი იყო იგი მუდამ და თვით თავის ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე.

პარიზის ქართველობამ ღირსეულის პატივით მიაცილა განსვენებული საფლავის კარებამდე. ბევრი იყო უცხოელიც. განსვენებულის ცხედარს ამშვენებდა მრავალი გვირგვინი და მათ შორის საქართველოს ეროვნული ცენტრის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრ. ბიუროს, «სამშობლო»-ს რედაქციისა და ქართველ ინჟინერთა საზოგადოების. ქართველი ასოციაციის თავმჯდომარემ ექიმ ვახ. ლაბაშიძემ განსვენებულის ცხედარს მიუძღვნა მეტად მგრძნობიარე გამოსათხოვარი სიტყვა.

აღ—ნი.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორ!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის მორიგ ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ ანგარიშს და მცირე შენიშვნას.

ჩემი «მიმართვა ქართველ ემიგრაციისადმი» 25 ნომბრიდან 1936 წლისა დიდ თანაგრძნობას იწვევს ჩვენს საზღვარს გარედ მყოფ მომხმეთა შორის, ბევრი წერილები მომდის თანაგრძნობისა და სიმპატიისა; რასაც ზნეობრივად ჩემთვის დიდი ფასი აქვს. ზოგმა უკვე მომაწოდა და უფრო მეტი მპირდება ერთ დროულად თუ თვითურად თავის წვლილის მოწოდებას. მე მოკლებული ვარ საშვალებას ყველას ცალკე წერილით მადლობა გადაუხადო და პასუხი გავსცე, ამიტომ ვსარგებლობ თქვენის გაზეთით და უდრამეს მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც თავის წვლილი მოგვაწოდა და ვინც დაგვიპირდა მოწოდებას თვითურად თუ ერთდროულად. ზოგი მთხოვს განვმარტო, რამდენი დაჯდება მთელი გამოცემა, რა მასალები იქნება შიგ მოქცეული, რამდენი თანხა უკვე შემოვიდა, რამდენს არიან თვითურად დაპირებული და სხვა. სიამოვნებით ვასრულებ მათ სამართლიან სურვილს.

როგორც ჩემს მიმართვაში იყო უკვე მოხსენებული ქართული ტექსტი მასალებისა უსურათებოდ იქნება 2.000 გვერდამდის შუა ფორმატის წიგნისა. ეს შეადგენს 125 ფორმას, ფორმაში იქნება 16 გვერდი. მცოდნე პირთა დახმარებით ჩვენ შევკრიბეთ ყველა ცნობები. გამოირკვა, ეხლანდელის ფასების მიხედვით თითო ფორმა ეღირება 450-500 ფრანკამდის. აქ მიღებულია მხედველობაში სიძვირე მასალებისა, რომელიც დღითიდღე მატულობს. მაშასადამე მთელი გამოცემა დაჯდება 62.500 ფრანკი, ყოველგვარ ეკონომიის გაწევის არა ნაკლებ 60.000 ფრანკისა. მასალები გამოვა ექვს წიგნად. შეუდგებით ბუკდვას, როცა პირველი წიგნის, 20 ფორმის, ფასის თანხა შესდგება, ესე იგი 320 გვერდიანი წიგნისა, რაც დაჯდება 10.000 ფრანკი. წიგნებში მათავსებული იქნება მასალები შეკრებილი ჩვენ მიერ მოწოდებულ ექსპედიციებისა: ყოფილ ოლთისის ოკრუგში ყარსის ოლქისა 1907 წელს (ეს ოკრუგი შეადგენდა ძველი ტაოს ნაწილს), სამუსულმანო საქართველოში («ტაოს სპირში») 1917 წელს, ლეჩხუმ სხანეთში 1910 წელს, იმერეთში, რაჭაში და გურიაში სხვა და სხვა დროს. ხასიათი და მნიშვნელობა მასალებისა იქნება ისეთი, როგორიც არის ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებში ქართულად და რუსულად (იხ. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I და II, ასეთივე ხუთი წიგნი რუსულ ენაზე, და მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა, წიგნი მეთორმეტე, მოსკოვში გამოცემული; სტატიები პეტერბურგში «ხრისტიანსკი ვასტოკ»-ში, ტომი მე-4, 5, 6), კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის გამოცემაში, ტ. II; ტფილისის უნივერსიტეტის მოამბევი, ტ. I და ამ ტომის დროს ლონდონში გამოცემულ «Georgica»-ში, ტომი I, წიგნი 2 და 3.



ფულადანგარიშები

დღემდის მიღებულია ერთ დროულად:

ფრანკი

1. უცნობი პირისაგან, რომლის ვინაობა ბოლოს იქნება გამოცხადებული	1.000
2. ნოე ცინცაძე	500
3. ელენე და ნიკო აბხაზი	100
4. ვარშავის ქართველთა ასოციაცია	250
5. გრიშა უჩაძე	100
6. ანტონ ყორყოლიანი	50
7. ნიკო სინდამონ-ერისთავი	50
8. ვალიკო ფიჩხაია (პრაგა)	105
9. ინჟ. პავლე ყოროლიანი (პრაგა)	35
10. ირაკლი ოთხმეზური (ბრიუსელი)	70
11. პარიზის «ქართული კერა» (ქ-ნ სონა კედის მიერ წარმოგზავნილი)	100
12. ქ-ნ სონა კედია თავის ოჯახის სახელით ამ ეამად	25
13. მარკოზ ტულუში (ბელგია) ბელგ. ფრანკი	250
14. ინჟ. დ. ბერეკაშვილი „ „	140
15. გ. გაბუნია „ „	10
16. ირაკლი ჯაფარიძე „ „	20
17. დ. ბრეგვაძე „ „	15
18. ნიუორკის ქართველთა საზოგადოებისაგან ჯერხანად 50 დოლარი (დაპირებული არიან სულ 400 დოლარს).	

თვითნაღდ შემოტანა ალგვიტქვეს

ერთის წლის ვადით:

- 1) სომოში მყოფ ქართველთა მუშებმა (40 კაცადღია) ათ-ათი ფრანკი თვითნაღდ და ამას გარდა ერთ-დროულად 1.000 ფრანკი.
- 2) ივანე ზურაბიშვილის ოჯახმა შვილებითურთ ორმოცდაათი ფრანკი თვითნაღდ (სამი თვის 150 ფრ. უკვე შემოტანილი აქვთ).
- 3) ექიმმა კალისტრატე კახიანმა, რომელიც პოდკარპატის რუსში ცხოვრობს ჩეხოსლოვაკიაში ბ-ნ შალვა აბდუშელიშვილის საშვადლებით მაცნობა, რომ ის შემოიტანს 300 ფრანკს, ამას თვითნაღდ აპირილიდან დაწყებული ექვსი თვის განმავლობაში გაანადღებს თვით ბ-ნი შ. აბდუშელიშვილი (აპრილის თვის 50 ფრანკი უკვე შემოიტანა).
- 4) ექიმმა ვახტანგ ლამბაშიძემ სიძეებითურთ თვითნაღდ ოცდაათი ფრანკი (ერთი თვის უკვე შემოტანილი აქვს).
- 5) სერგო იმნაძემ ერთდროულად დაგვიბრდა 50 ფრანკი, ხოლო თვითნაღდ ათ-ათი ფრანკი.
- 6) გიორგი ყურულის ოჯახმა შვილებითურთ თვითნაღდ ათ-ათი ფრანკი.
- 7) ათ ათი ფრანკის შემოტანა იკისრეს და ორი თვის უკვე შემოიტანეს პარიზში მყოფ შემდეგ პი-

რებმა: ს. მდივანმა, ა. ჩხენკელმა, ნ. ყორდანიამ, ი. სალაყაიამ, ი. ნუცუბიძემ, ე. გეგეჭკორმა, კ. კანდელაკმა, კ. ქავთარაძემ, სოს. ასათიანმა, ს. გოგოლაშვილმა.

8) ბელგიაში მყოფ ქართველებმა ალგვიტქვეს თვითნაღდ: ოც ოცი ბელგიური ფრანკი: ლაზარიშვილმა ივანემ (უკვე შემოიტანა ოთხი თვის სარგო), ოთხმეზურმა ირაკლიმ (შემოტანილი აქვს ორი თვის სარგო), ყიფიანმა რუსუდან (შემოტანილი აქვს ორი თვის სარგო), ჯოხაძე არჩილმა (შემოტანილი აქვს ერთი თვის), ყავლიშვილმა გიორგი (შემოტანილი აქვს ერთი თვის), ქიქოძე მაქსიმემ (შემოტანილი აქვს ორი თვის 30 ფრანკი). ათ-ათი ბელგიური ფრანკი ალგვიტქვეს: ტატიშვილმა იაკობ (ორი თვის უკვე შემოტანილი აქვს) და უცნობმა პირმა (ორი თვის შემოტანილი აქვს 15 ფრანკი).

ამას გარდა დაპირება თავის ხვედრის მოწოდებესა სხვებისაგანაც გვაქვს წერილობით, მაგრამ ვინაიდან რაოდენობა თანხისა არ აღუნიშნავთ, ამიტომ მათ ვინაობას ჯერ საჭიროდ არა ვპოებ გამოცხადო.

სულ დღემდის, 23 აპრილამდის, შემოსულია ფრანგულის ფრანკით რომ ვინაგარიშით 4.365 ფრანკი.

თქმა არ უნდა მთელი თანხა, რაც შემოვა, მოხმარდება მხოლოდ და მხოლოდ გამოცემებს და პირადათ ჩემთვის ერთი ფრანკი არ იქნება დახარჯული.

ამ მიზნით ფული, რაც შემოვიდა 22 აპრილამდის, გადაეცა და რაც შემოვა შემდეგ კვლავ გადაეცემა ქართველთ Office-ში ბატონს კ. კანდელაკს. ჩემის თხოვნით ის მიიღებს შრომას გაიღოს ყოველი ხარჯი გამოცემისა. საბოლოო გამოცემას დართული ექნება სრული ანგარიში და სია შემომწირველთა, ხოლო ასეთივე ანგარიში დროგამოშვებით მოთავსებული იქნება ამავე გაზეთში.

პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი.

ერთი ლიგა და დაჩაგრული მკვები

16 ამა აპრილს კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის მეგობრობის კომიტეტის თაოსნობით პარიზში მეტად საინტერესო მოხსენება გააკეთა ერთა ლიგის და დაჩაგრულ ერების შესახებ «ყურნალ დე ენევე»-ის საგარეო პოლიტიკის რედაქტორმა ბ-ნმა ბრიკემ.

მრავალრიცხოვანი კრება, რომელიც გარდა კავკასიელებისა და უკრაინელებისა შესდგებოდა უცხოელებისაგანაც, გახსნა როგორც თავმჯდომარემ საფრანგეთის აკადემიის წევრმა, ცნობილმა მწერალმა ბ. კლოდ ფერარმა, რომელიც მხურვალედ მიესალმა ბ. ბრიკეს. კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ა. ჩხენკელმა გააცნო საზოგადოებას ბ. ბრიკეს პიროვნება, რომელიც მუდამ იყო დამცველი დაჩაგრულ ერების უფლებათა.

მომხსენებელმა მეტად დასაბუთებულად განიხილა იურიდიული სტატუტი საქართველოსი, აწერ-

ბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის და თურქესტანის. ანალიზი გაუკეთა დასახელებულ რესპუბლიკების დამოკიდებულებას ერთა ლიგასთან და დამატკიცა, რომ უკანასკნელი ვალდებულია ხელი მოკიდოს ამ ერების საკითხს, რადგან მისი პირდაპირი ინტერესი მოითხოვს დაჩაგრულ ერთა დაცვას, რაიც საფუძველია ევროპის მშვიდობიანობისა.

მომხსენებელი დამსწრე საზოგადოებამ დიდი და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

### საქართველოს ამბები

(გაზეთებიდან)

გამოვიდა ერთ დიდ ტომად ილია ჭავჭავაძის თხზულებანი—ლექსები, პოემები და მოთხრობები. წიგნს დართული აქვს ფერადი ილუსტრაციები.

— ილ. ჭავჭავაძის დაბადების ასი წლის დღესასწაულები დაიწყება 29 მაისს. საიუბილეო კომიტეტი დანაწილებულია რამდენიმე კომისიად. ერთს მინდობილი აქვს ილიას ნაწერების აკადემიური გამოცემა, ხუთ ტომად: პირველ ტომში მოთავსდება სიტყვაკანმული ნაწარმოებნი, მეორეში—წერილები ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, მესამესა და მეოთხეში პუბლიცისტური წერილები და მეხუთეში ილიას კორესპონდენციები, ავტობიოგრაფიული მასალა, დოკუმენტები და ბიოგრაფია.

გამოვა აგრეთვე სახალხოდ ცალცალკე ილიას 11 სხვადასხვა ნაწარმოები. განზრახულია ილიას ძეგლის აგება. ილიას ნაწარმოებნი გამოცემული იქნება რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

— მზადდება გამოსაცემად კრებული «რუსთაველი და მისი ეპოქა» შემდეგი შინაარსით: გ. წერეთელი—ნესტარ დარეჯანი შუა აზიის არაბულ ფოლკლორში, კ. ჩაიკინი—სამი ესკიზი საქართველოს და ირანის კულტურული კავშირის ისტორიიდან, ნ. ბერძნიშვილი—სავაჭრო გზები და ცენტრები რუსთაველის ეპოქაში, შ. ამირანაშვილი—რუსთაველის იკონოგრაფიისათვის და ს. ჯანაშია—რუსთაველის საზოგადოებრივი არე.

— ამა წლის შემოდგომისთვის რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით დადგენილია რუსთაველის და მისი ეპოქის გამოფენის მოწყობა. გამოფენის დამზადება მინდობილი აქვს სამ სექტორს—სალიტერატუროს (ხელმძღვანელობს პ. ინგოროყვა), ხელოვნების (დ. შვეარდნაძე) და ყოფა-ცხოვრების და მეურნეობის სექტორს (პროფ. ივ. ჯავახიშვილი).

### საზოგადოებრივი უწყისი

6 აპრილს გარდაიცვალა და 9-ს მიაბარეს საფლავს სტუდენტი თევდორე ზარიძე. განსვენებული იყო წოვა-თუში. დაიბადა სოფელ ალვანში 1908 წ. სწავლობდა თელავში. ბოლშევიკების დროს თუშებთან ერთად გავიდა ტყეში ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მერე ჩამოვიდა საფრანგეთში. თავდაპირველად მუშაობდა მონპელიერში, სადაც დააგროვა ფული და ჩამოვიდა პარიზში სასწავლებლად. განსვენებული დაასაფლავეს სენტ უენის სასაფლაოზე. დასაფლავებას დაესწრნ მისი ქართველი და ფრანგი ამხანაგები.

7 აპრილს გარდაიცვალა და 9-ს დაასაფლავეს იმავე სასაფლაოზე მართა თურქია, მეუღლე ექიმ ვლ. თურქიასი, რომელიც ამჟამად იმყოფება სპარსეთში. დასაფლავებას მრავალი ქართველი საზოგადოება დაესწრო.

მაღლობის გამცხადება.

დ. პ. ბ-ნო რედაქტორა,

გთხოვთ, თქვენი ჟურნალის უახლოესი ნომრის საშუალებით, ნება მიბოძოთ მაღლობა გადაუხადო ყველას, ვინც თანაგრძობით და დასწრებით პატივი სცა ჩემი მეუღლის იოსებ დადიანის დაკრძალვას.

პატივისცემით თ. დადიანისა.

განსვენებულ გენერალ ნიკო დუმბაძის დაობლებული შვილები უდრმეს მაღლობას უძღვნიან თავის თანამემამულე ქართველობას, რომლებმაც პირადი დასწრებით ან წერილობით პატივი სცეს ა.წ. 13 აპრილს გარდაცვალებულ მათი დედის ნატალია დუმბაძის ხსოვნას.



ქართველმწერალთა დაჟურნალისტთა საზოგადოებამ

16 მაისს 3 საათზე S-té Savants-ის დარბაზში მართავს ორ მოხსენებას

ილია ჭავჭავაძის

1) ივ. ზურაბიშვილი—«ილია ჭავჭავაძე პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე».

2) ვალ. ინწკირველი—«ილია ჭავჭავაძე ქართულ სინამდვილეში».

მისამართი: 28, rue Serpente. მეტრო Odeon.



გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA

10, rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.) France.